ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 18 აპრილი, 2019 №91 (8045) ფასი: 60 თეთრი

ჯაბა ჯიშკარიანი: „ვაზაგაშვილის ერთ-ერთი მკვლელი იყო გიგი დალაქიშვილი“

გვ.7

საკრებულოს დეპუტატი პროკურატურაში დაიბარეს

16 აპრილიდან

მარკ ტვენი

პრინცი და მაწანწალა

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ქობულია ბახტაძეს უძალიანდება

გვ.3

„განცხადებას არ დავწერ, თუ ბიჭი ხარ, მომხსენი“

სოსო ცინცაძე: „ოქრუაშვილი ხელწამოსაკრავი პოლიტიკოსი არასდროს ყოფილა“

გვ.3

რა პერსპექტივა აქვს ოპოზიციას არსებული რეალობის შესაცვლელად?!

„არ მინდა, კიდევ 30 წელი ჩინჩალაძეს ვუყურო უზენაეს სასამართლოში“

გვ.4

გვ.2

დეპუტატი ქალები კობახიძეს დაესივნენ

ეკა ბესელია პარლამენტის თავმჯდომარეს: „სანამ აქედან ჩამომიყვანიხარ, წესიერად მოიქეცი“

სამართალი

გვ.7

ირაკლი კაკაბაძე პროკურატურაში გამოკითხეს

„გამოკითხვა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეს ეხებოდა“

„ჩათლახბარათის“ ავტორი კომპანიის წინააღმდეგ შსს-მ გამოძიება დაიწყო

კახა კოჟორიძე: „სანამ არსებობს კლანი, არაფერი შეიცვლება“

გვ.4

ეკონომიკა

გვ.6

გიორგი კოდუა ხელისუფლებას მიმართავს — ივანიშვილის ინტერვიუ ჩემთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა

ენერგოომბუდსმენის აპარატში ყოველი მეორე საჩივარი „სოკარ ჯორჯია გაზის“ წინააღმდეგ შედის

მარტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 5 ათასით გაიზარდა

ISSN 1987-9385

5 აფგან მუხთარლის დაცვა საქართველოს პრემიერის განცხადებას უარყოფს

7 მარტვილში 15 წლის ბიჭი ჩამომხრჩვალი იპოვეს

11 ნუკრი ქანთარია: „სერიალები დღეს უკვე აღარ არის საპნის ოპერები“

8 კაპელანმა ფურნიემ მაცხოვრის გვირგვინი გადაარჩინა

დეპუტატი ქალები კობახიძეს დაესივნენ

ეკა ბესელია პარლამენტის თავმჯდომარეს: „სანამ აქედან ჩამომიყვანიხარ, წესიერად მოიქეცი“

„კობახიძე გინდ ყოფილა პარლამენტის თავმჯდომარედ, გინდ არა, ცნობილი ქართული მხატვრული ფილმის არ იყოს, გინდ გაიტანეთ და გინდ შემოიტანეთ ეს თქვენი გაგორებული თავმჯდომარეო, ახლა იმ მდგომარეობაშია უკვე“

შორენა მარსაგიშვილი

არ გაგიკვირდეთ, თუ ერთ დღეს პარლამენტის თავმჯდომარე ქალმა დეპუტატებმა გალახეს. ის უკვე კარგა ხანია ქალების რისხვას იმსახურებს.

ორი წლის წინ მას ადა მარშანიამ მიკროფონი გადაუღუნა, მერე თინა ბოკუჩავა აუვარდა სპიკერატში. გუშინ, 17 აპრილს კი ეკა ბესელიამ მიიტანა მასზე შტურმი. ყოფილი თანაპარტიელის მიერ აწიოკებულ სპიკერი არც ხათუნა გოგორიშვილმა და ელენე ხოშტარიამ დაინდეს – მათ კობახიძეს ქოქოლა დააყარეს.

ელენე ხოშტარიამ სპიკერს, რომელმაც გუშინ ოფიციალურად მოითხოვა, თქვენობით მომმართეთო, აუხსნა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეობა უფრო სხვა რამეა, ვიდრე შემაღლებულ ადგილზე წამოსკუპება.

ამის გარდა, მან კობახიძეს უთხრა, რომ რახან პირველი კანონმდებელია, ყველაფერი მის სურვილებთან შესაბამისობაში არ უნდა მოვიდეს.

ხოშტარიას და სხვა ოპოზიციონერების რისხვა კობახიძემ იმ კანონპროექტის გამო დაიმსახურა, რომელიც „ოცნებამ“ უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევასთან დაკავშირებით შეიმუშავა.

ოპოზიცია განხილვის გადადებას ითხოვდა. ისინი აპროტესტებდნენ იმას, რომ

კანონმდებლებს კანონპროექტთან ერთად არ დაურიგდათ ტექსტი, სადაც ასახული იქნებოდა, ვენეციის კომისიის რომელი რეკომენდაციების გათვალისწინებას აპირებს უმრავლესობა.

ელენე ხოშტარია მართალია, სპიკერზე განრისხებული იყო, მაგრამ მის მდგომარეობაში მაინც შევიდა. მან პარლამენტის მამას ურჩია, „ოცნების“ მამისთვის დაერეკა და მისგან ეთხოვა განხილვის გადადებაზე ნებართვა.

სპიკერი ცდილობდა ოპოზიციონერის გამოსვლა დაეიგნორირებინა. ხოშტარიამ მას ამის საშუალება არ მისცა და რამდენჯერმე მოუწოდა, რომ მისთვის მოესმინა.

– ვერ გავიგე, ეს რა დამოკიდებულებაა? დეპუტატები გეუბნებით, რომ ყველაზე კრიტიკული და მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისთვის, რომელზეც მსჯელობს მთელი არასამთავრობო სექტორი, რომელზეც მთელი საზოგადოება წუხს, რომელზეც საერთაშორისო თანამეგობრობა ამ საგანგებო განცხადებებს აკეთებს, დაწერილი მინდა ვნახო, ვიდრე განვიხილავ.

თქვენ მანდ რომ დაბრძანდით, მართლა ხომ არ გგონიათ, რომ რასაც გინდათ, იმას გააკეთებთ პარლამენტში? რას ნიშნავს არ გადავდებ? დაწერილი მინდა ვნახო, რომ ამ საკითხზე ვიმსჯელო. თქვენ მეუბნებით, რომ მორიგ ჯერზე მოვუსმინო ანრი ოხანაშვილის რაღაც მონათხრობს.

მომისმინეთ, რომ გელაპარაკებით ბატონო ირაკლი, პირადად თქვენ მოგმართავთ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს. პარლამენტის თავმჯდომარეობა არ ნიშნავს უბრალოდ შემაღლებულზე ჯდომას ან ინსტრუქციების მიღებას და მერე აქ გატარებას. როდესაც დეპუტატები გეუბნებიან ყველა მხრიდან, რომ განხილვისთვის საჭიროა გაცნობა, გადადეთ ეს საკითხი. ან დაურეკეთ ბიძინა ივანიშვილს, შეუთანხმდით და გადადეთ საკითხი, – მიმართა ხოშტარიამ კობახიძეს.

პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა ხათუნა გოგორიშვილმა.

მისი თქმით, კობახიძეს მხოლოდ ის აინტერესებს, პულტზე ვინმემ თითი მიაჭიროს და მწვანე და წითელი ღილაკები გაარჩიოს.

– თქვენ ხედავთ, რომ პროცედურული შენიშვნები ამ კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით მარტო ოპოზიციას არ აქვს, უმრავლესობასაც აქვს, იმიტომ, რომ თქვენ 16 აპრილს დააანონსეთ სხვაგვარი პროცედურა.

რომელი რეკომენდაციის გაზიარება ხდება, რომელ მუხლში და რა ფორმულირებით, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიღებიდან 15 წუთში ჩვენ ვისმენდით, რომ რაღაც პირველადია, რაღაცა მეორადია, რაღაცის გათვალისწინება სრულად მოხდება, რაღაცის – ნაწილობრივ.

რომელ რეკომენდაციებს ითვალისწინებთ, რომელ მუხლში მოხვდება ასახვა და რა რედაქციით, რა ფორმულირებით, დაგვირიგეთ პარლამენტის ყველა წევრს. გასაგებია, რომ თქვენი დამოკიდებულება პარლამენტისადმი არის ის, რომ ოღონდ პულტზე ვინმემ თითი მიაჭიროს და მწვანე და წითელი გაარჩიოს, მაგრამ დამერწმუნეთ, ყველას არ გვაქვს ასეთი დამოკიდებულება, – მიაკივლა გოგორიშვილმა კობახიძეს.

„მომისმინეთ, რომ გელაპარაკებით ბატონო ირაკლი, პირადად თქვენ მოგმართავთ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს. პარლამენტის თავმჯდომარეობა არ ნიშნავს უბრალოდ შემაღლებულზე ჯდომას ან ინსტრუქციების მიღებას და მერე აქ გატარებას. როდესაც დეპუტატები გეუბნებიან ყველა მხრიდან, რომ განხილვისთვის საჭიროა გაცნობა, გადადეთ ეს საკითხი. ან დაურეკეთ ბიძინა ივანიშვილს, შეუთანხმდით და გადადეთ საკითხი“

გაქაჩვა საკვირველი

პლენარული სხდომის მთავარი დაპირისპირება ეკა ბესელიას და ირაკლი კობახიძეს შორის შედგა. ბესელია სპიკერს სპიკერატში აუვარდა და საქმე გაურჩია, ამ სიტყვის სრული გაგებით.

ირაკლი კობახიძემ ბესელიას რისხვა იმის გამო დაიმსახურა, რომ მან მისთვის მიკროფონის გამორთვა გაბედა.

სპიკერმა განმარტა, თუ რატომ გამოურთო დეპუტატს მიკროფონი. მისი თქმით, დეპუტატი ვალდებულია, პარლამენტის თავმჯდომარეს თქვენობით მიმართოს. კობახიძემ აღნიშნა, რომ კოლეგას მიკროფონს მას შემდეგ ჩაურთავდა, რაც ის შეცდომას გამოასწორებდა.

ეკა ბესელიას კი შეცდომის გამოსწორების და კობახიძისადმი თქვენობით მიმართვის სურვილი არ გასჩენია. სპიკერის ულტიმატუმმა ისე გააცეცხლა, სპიკერატში ავარდა და კობახიძეს სულთამხუთავივით დაადგა თავზე.

მისმა ავარდნამ საერთოდ უემოციო კობახიძე ემოციებში ჩააგდო. ან როგორ გინდა უემოციოდ დარჩენილიყო, როცა თავზე დამდგარი ქალი დაჰკიოდა:

– ხომ არ შეგეშინდა?

შიში, აღშფოთება და გაოგნება სპიკერმა მალე დაძლია და ფოლადგარეული ხმით კოლეგას მიაძახა:

„რომელ რეკომენდაციებს ითვალისწინებთ, რომელ მუხლში მოხვდება ასახვა და რა რედაქციით, რა ფორმულირებით, დაგვირიგეთ პარლამენტის ყველა წევრს. გასაგებია, რომ თქვენი დამოკიდებულება პარლამენტისადმი არის ის, რომ ოღონდ პულტზე ვინმემ თითი მიაჭიროს და მწვანე და წითელი გაარჩიოს, მაგრამ დამერწმუნეთ, ყველას არ გვაქვს ასეთი დამოკიდებულება“

– შიში თქვენსკენ მოიკითხეთ.

ეს ფრაზა გაბრაზებულ ქალს მაშინ დაეწია, როცა სპიკერატიდან რიგითი დეპუტატების სამყოფელში – სხდომათა დარბაზში ეშვებოდა.

გაიგონა თუ არა ეს ფრაზა, გველნაკბენივით შემოტრიალდა, ისევ სპიკერს დაადგა თავზე და დააკივლა:

– სანამ აქედან ჩამომიყვანიხარ, წესიერად მოიქეცი.

მათი კამათი სპიკერატში ამით დასრულდა, მაგრამ დაპირისპირება გაგრძელდა. პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ის ბესელიასთან სიღრმისეულ განხილვაში ვერ შევა, ვინაიდან დეპუტატს, რთული ვითარებიდან გამომდინარე, ემოციური გამოვლინებები აქვს.

– არ მინდა ამ პოლემიკაში შესვლა. ის არის რთულ მდგომარეობაში და თავის ემოციურ მდგომარეობას ავლენს ხოლმე. ნახეთ, როგორ იქცეოდა. სამწუხაროდ, უკვე არაეთიკურია მისი ქცევა, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ეკა ბესელია კი ამბობს, რომ სპიკერს მაინც ჩამოალაბორანტებს.

– ვაგროვებ ყველა დარღვევის ფაქტს, რასაც პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან აქვს ადგილი, აუცილებლად დავაყენებ მისი პასუხისმგებლობის საკითხს, – უთხრა ჟურნალისტებს განრისხებულმა ქალმა.

მედიას მან გაუმხილა, რომ კობახიძეს პარლამენტის თავმჯდომარედ ისედაც არ თვლის. ამტკიცებს, რომ მან არც რეგლამენტი იცის.

– ირაკლი კობახიძემ არ იცის ურთიერთობა, არ იცის, როგორ მოიქცეს და როგორ დაიცვას რეგლამენტი.

ეს პროცესი თავისთავად იქნება მისთვის ფაქტობრივად დამასრულებელი, თორემ შინაარსობრივად ირაკლი კობახიძე გინდ ყოფილა, გინდ არა – ერთი კომიკური ფიგურაა, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

მის ამ განცხადებას უემოციო ღიმილი შეაგება სპიკერმა. მისი თქმით, ბესელია რამდენჯერაც დაემუქრა მას და „ოცნებას“, იმდენჯერ დაკარგა თანამდებობა.

ამაზე გაცეცხლებულმა ქალმა პასუხის გაცემა გადაწყვიტა და ის თანამდებობები ჩამოთვალა, რის დაკავებაზეც უარი განაცხადა.

მან ბიძინა ივანიშვილსაც მიმართა და სთხოვა, პარლამენტის თავმჯდომარეს თავისი ადგილი მიუჩინოს.

– კობახიძის წყალობით სადამდეც მივედით, ეს ჩანს. თუ დარჩა ვინმე პატრონი ამ მმართველ პარტიაში, განსაკუთრებით ამ კრიზისული სიტუაციიდან გამომყვანი, ამაზე უფრო აუცილებელი დრო არ ვიცი მე, რა არის.

თავიდან ჩამოვთვალო, რა თანამდებობებზე ვთქვი უარი? მე მგონი მოსაბეზრებელი გახდა. მე ვთქვი, რომ ასეთი სამარცხვინო პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არ ვიქნებოდი. არ დავეთანხმე ვიცე-სპიკერობას, ჩემი თანამდებობაც დავტოვე იმიტომ, რომ ის სია შემეჩერებინა და ეს შეშინებული კობახიძე, რომელიც ჩინჩალაძეს ლამის ფეხქვეშ გაეგო, როგორმე ამ ვითარებიდან რომ გამოსავალი მოძებნილიყო, მისთვისაც და ქვეყნისთვისაც, ჩემი გადადგომა იყო აუცილებელი ნაბიჯი. თანამდებობებს ვინ არის გამოკიდებული, კარგად ვხედავთ. ჩემი მისამართით მაინც სირცხვილია, ნუ იყენებს ასეთ ტერმინებს.

კობახიძე გინდ ყოფილა პარლამენტის თავმჯდომარედ, გინდ არა, ცნობილი ქართული მხატვრული ფილმის არ იყოს, გინდ გაიტანეთ და გინდ შემოიტანეთ ეს თქვენი გაგორებული თავმჯდომარეო, ახლა იმ მდგომარეობაშია უკვე.

მის პატრონს, ბიძინა ივანიშვილს, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, მოკიდოს ხელი, როგორც ერთხელ ჩაკიდა ხელი უმრავლესობის სხდომაზე და ჩემთან მოიყვანა ბოდიშის მოსახდელად, მაგრამ ჩემს სიახლოვეს არ მოვუშვი, ხელი მოკიდოს და თავისი ადგილი მიუჩინოს, სანამ პოლიტიკურ ხანძარში გაახვია ეს პარლამენტი, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის რისხვამ.

ქალებისგან გვემული ირაკლი კობახიძე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ დაიცვა. მისი თქმით, საკანონმდებლო ორგანოს ძალიან კარგი თავმჯდომარე ჰყავს.

ვოლსკი დარწმუნებულია, რომ პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების საკითხი დღის წესრიგში არ დადგება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ქობულია ბახტაძეს უძალიანდება

„განცხადებას არ დავწერ, თუ ბიჭი ხარ, მომხსენი“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მთავრობა და ეკონომიკა მალე კარდიოლოგის გარეშე დარჩება. ბიძინა ივანიშვილმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ პროფესიით კარდიოლოგმა და შეთავსებით ეკონომიკის მინისტრმა, გიორგი ქობულიამ თანამდებობა დატოვოს.

ეს უკანასკნელი ისეთ განცხადებებს აკეთებს, ამ ქვეყანას ნორმალური პატრონი რომ ჰყავდეს, ქობულიას არათუ მთავრობიდან, ქვეყნიდანაც გააძევებდნენ.

ქვეყნის არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი აქამდე ცოცხალი თავით არ იმჩნევდა თავისი მინისტრების უაზრობებს. ქობულიამ იმდენი მოახერხა, რომ „ოცნების“ მამის რისხვანარევი ყურადღება დაიმსახურა.

„ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ მამუკა ბახტაძის პირით შეუთვალა ეკონომიკის კარდიოლოგ მამას, ბარგი ჩაალაგე და საიდანაც ჩამოხვედი, იქვე დაბრუნდიო.

ქართული ეკონომიკის საპატრონოდ მილიონერი კარდიოლოგი რუსეთიდან ჩამოიყვანეს. როგორც ამბობენ, მას ამ თანამდებობაზე რეკომენდაცია მამუკა ბახტაძემ გაუწია, რომელიც ქობულიას ახლობელია.

ეკონომიკის მინისტრს თანაინვესტირების ფონდის აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი ბაჩიაშვილიც მფარველობდა.

რაკი პრემიერის კადრად მიიჩნევა ქობულია, ამიტომაც დაავალა ივანიშვილმა პრემიერის პოსტზე მყოფს, ეს კაცი მომაშორეო.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ბახტაძემ მართლაც სთხოვა ქობულიას, სამსახურიდან წასვლის შესახებ დაეწერა განცხადება.

ამაზე ქობულიამ კატეგორიული უარი განაცხადა და პრემიერს უთხრა, საკუთარი ნებით არსად არ წავალ, თუ გინდა, შენ მომხსენიო.

ბახტაძეს არ უნდა, თავად ვინმე მოხსნას, ქობულია კი თავისი ნებით არ მიდის. ხელისუფლებასთან დაახლოებული წყარო ამბობს, რომ ეკონომიკის მინისტრმა პრემიერს იქეთ წაუყენა პრეტენზიები.

– ქობულია წასვლაზე უარს ამბობს, ბახტაძეს ეუბნება, თუ მაგარი ბიჭი ხარ, შენ მომხსენიო. ეუბნება, რუსეთში ძალიან კარგი ბიზნესი და სამსახური მქონდა. რატომ წამომიყვანეთ, თუ ერთ წელზე მეტს არ მამუშავებდით, – ამბობს ხელისუფლებასთან დაახლოებული წყარო.

რაღაც მიზეზების გამო ერის მამებს ქობულიას ძალით გაშვება არ სურთ. ჩვენი წყარო ამბობს, რომ მან შეიძლება რაღაცები თქვას, რაც ისედაც რეიტინგშეზანზარებულ „ოცნებას“ კიდევ უფრო შეურყევს მდგომარეობას.

სანამ ეკონომიკის მინისტრისთვის განცხადების დაწერას ცდილობენ, მედიაში უკვე აქტიურად განიხილება მისი სავარაუდო შემცვლელი.

„ახალი თაობა“ ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ წერდა, რომ ამ პოსტზე ნათია თურნავას კანდიდატურა განიხილება. მას მინისტრის მოადგილის თანამდებობა უკავია.

გუშინ, 17 აპრილს, სააგენტო თაიმერმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ თურნავას კანდიდატურას ივანიშვილის დეიდაშვილი უჩა მამაცაშვილი ლობირებს.

ხელისუფლებასთან დაახლოებული წყაროს მტკიცებით, შესაძლოა, ეკონომიკის მინისტრის ამბებთან იყოს დაკავშირებული გიორგი ბაჩიაშვილის გადადგომა.

გუშინ, 17 აპრილს, ცნობილი გახდა, რომ თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელმა თანამდებობა დატოვა.

ამასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა. ფონდმა ახალი აღმასრულებელი დირექტორის, ცოტნე ებრალიძის დანიშვნის შესახებ განაცხადა.

– ცოტნე ებრალიძე 2018 წლიდან საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის დირექტორის და ამავდროულად 2013 წლიდან საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ტურიზმისა და უძრავი ქონების მიმართულების

ბაჩიაშვილის თანამდებობა ეკონომიკის მინისტრმა შეიწირა

მმართველი დირექტორის პოზიციაზე მუშაობდა.

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიციას კი თეა ჯოხაძე დაიკავებს, რომელიც ფონდში 2013 წლიდან მმართველი დირექტორის პოზიციაზე მუშაობს.

გიორგი ბაჩიაშვილი, რომელიც ფონდის დაფუძნების დღიდან იკავებდა აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას, დღეიდან ფონდის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას დაიკავებს და პასუხისმგებელი იქნება ფონდის მანდატის, შესაბამისად საქმიანობის გაგრძელებასა და სხვა საზედამხედველო საკითხებზე.

გიორგი ბაჩიაშვილის ხელმძღვანელობის ქვეშ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ჩაეყარა საფუძველი, რამდენიმე მათგანი უკვე დასრულებულიც არის და წარმატებით ოპერირებს, – აცხადებენ ფონდში.

გიორგი ბაჩიაშვილი პრემიერის პოსტზეც განიხილებოდა. საინტერესოა, უკავშირდება თუ არა მისი ამ თანამდებობიდან წასვლა შესაძლო გაპრემიერებას თუ ის ქობულიას გამო ისჯება.

სოსო ცინცაძე: „ოქრუაშვილი ხელწამოსაკრავი პოლიტიკოსი არასდროს ყოფილა“

რა პერსპექტივა აქვს ოპოზიციას არსებული რეალობის შესაცვლელად?!

ოპოზიციურ სპექტრში გარკვეული მოძრაობები შეინიშნება. მიმდინარეობს საუბარი როგორც გაერთიანებაზე, ისე ახალ-ახალი პოლიტიკური პარტიების შექმნაზე. 16 აპრილს პოლიტიკური პარტიის შექმნაზე გადაცემა „რეაქციაში“ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმაც ისაუბრა. კონკრეტულ დეტალებზე არ უსაუბრია, მაგრამ ერთობის აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი და აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილს გაყალბებას არ დაუთმობენ. დაასახელა ერთ-ერთი თანამებრძოლიც – კოტე კემულარია, დანარჩენ დეტალებზე კი მოგვიანებით ისაუბრებს.

რა პერსპექტივა აქვს ოპოზიციას არსებული რეალობის შესაცვლელად და რა რესურსი აქვს ირაკლი ოქრუაშვილს საკუთარი პოლიტიკური გამოცდილების თვალსაზრისით? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე საუბრობს.

იაგო ნაცვლიშვილი

– ვხედავთ გარკვეულ მოძრაობებს ოპოზიციური სპექტრში. რა მოლოდინი გაქვთ და ფიქრობთ თუ არა, რომ შეუძლია ოპოზიციას არსებული რეალობის შეცვლა 2020 წლისთვის?

– იცით რაშია საქმე? სანამ ჩვენი ოპოზიციური პარტიების ყველა ფრთა და სეგმენტი არ შეჯერდება იმ რეალობაზე, რომ სრული გაერთიანების, 100%-იანი გაერთიანების გარეშე წარმატება შეუძლებელია, არაფერი არ მოხდება იქამდე.

სრულ გაერთიანებაში ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობასაც“, „ევროპულ საქართველოსაც“ და ყველა დანარჩენსაც.

– საუბრობენ ხოლმე, რომ ეკლექტიკური გაერთიანება არ არის შედეგის მომტანი გრძელვადიან პერსპექტივაში და ა. შ.

– გაერთიანება იცით როგორი? კი, ყველანი, მაგრამ მე „ნაციონალებთან“ არ დავჯდები, მე იმასთან არ დავჯდები და მე ამასთან არ დავჯდები, ეს შედეგს არ მოიტანს. ვინც კი თანახმაა, რომ გაერთიანდეს რეალური მიზნის მისაღწევად... ისე კი არა, რომ ხელისუფლება კი კარგია, მაგრამ ის მინისტრია ცუდი და ეს მინისტრი.

ის, რაც კვირას მოხდა ფილარმონიაში „დაიცავი საქართველოს“ შეკრებაზე, ეს არ არის შედეგის მომტანი, თუ ამ შეკრებაზე გამოვრიცხავთ ლევან გოგიჩაიშვილის გამოსვლას, დანარჩენი იყო ფრონდა. განაწყენებული ადამიანების შეკრება იყო, რომელთაც აქვთ თავისი წითელი ხაზები, რომელსაც არ გადავლახავთო, ფაქტობრივად ეს გვითხრეს.

მაგონდება კომუნისტების დროინდელი ვითარება. მაშინ ტელევიზიაში ვმუშაობდი. მოვიდა ახალგაზრდა კრეატიული თავმჯდომარე და ძალიან აქტიური. მან თქვა, რომ ჩვენ ყველას ვაკრიტიკებთ, გარდა შევარდნაძისა. მაშინ „მოამბე“ იყო. იძახდნენ ყველას, ნებისმიერ მინისტრს ვაკრიტიკებთ, გარდა შევარდნაძისა. შევარდნაძე იყო ხელშეუხებელი. ასე დღეს არ გამოვა.

– ირაკლი ოქრუაშვილმაც ისაუბრა თავისი პოლიტიკური გუნდის შექმნაზე. როგორ ხედავთ მის პერსპექტივას? თუნდაც მისი გამოცდილების თვალსაზრისით? იყო ხელისუფლებაშიც, ოპოზიციაშიც, უბრძოლია ვარდების რევოლუციის დროს, მის სახელს უკავშირდება გარკვეული რეფორმებიც და ა. შ. ხედავთ თუ არა მასში გარკვეულ რესურსს?

– რასაკვირველია, ოქრუაშვილი ერთი პიროვნებაა. ოქრუაშვილი ხელწამოსაკრავი პოლიტიკოსი არასოდეს ყოფილა. თვით მიშას ხელისუფლებაში მოსვლამდეც კი, როდესაც ის ადვოკატობდა. მაშინაც გამორჩეული პიროვნება იყო.

დღეს ყველაფერი რესურსებზეა დამოკიდებული. ოქრუაშვილმა მხოლოდ ერთი პიროვნება დაასახელა, ვისთანაც ის აპირებს გაერთიანებას. საინტერესოა, დანარჩენები ვინ იქნებიან. გარდა მაგისა, მატერიალური რესურსიც საჭიროა. როდესაც ღარიბი ელექტორატისთვის შეჯიბრი წავა, ვინ უფრო მეტ კარტოფილს და ხახვს დაურიგებს, აქ უკვე ღირებულებები, ფასეულობები, იდეალები მეორე პლანზე გადავა. ეს არის ღარიბი ქვეყნის მოცემულობა.

– სხვათა შორის, ისიც ერთობაზე საუბრობს და იმაზე, რომ ყველამ უნდა იფიქროს ივანიშვილის დამარცხებაზე და არა ცალკე ოქრუაშვილმა.

– რასაკვირველია, სწორი მიდგომაა. თუ ოპოზიციას უნდა გამარჯვება, ეს უნდა იყოს ისე, როგორც თავის დროზე ივანიშვილი ამბობდა. მაშინ დადიოდა ხმები, რომ მაშინ ივანიშვილს მაშინდელი ხელისუფლება სთავაზობდა, 40%-ს მოგცემთ პარლამენტში, ეს რიცხვი საკმაოდ ბევრია, უთქვენოდ ჩვენ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ. საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გვექნება და ა. შ. მაგრამ, ივანიშვილმა უარი თქვა და უთხრა, რომ ჩემი კურსის გასატარებლად მჭირდება 60%-იო. დღესაც იგივე მეორდება.

კი, დღეს ხელისუფლება აპირებს, რომ წვრილ-წვრილი, პატარ-პატარა პარტიები, 5-6 კაციანი პარტიები შეიყვანოს პარლამენტში და მათ პარლამენტში ეყოლება 3-4 კაციანი წარმომადგენლობა და ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაერთიანდებიან თავიანთი შეხედულებების გამო. მაგრამ, ეს არაფერი არ იქნება. საჭიროა დღეს მთელი სპექტრი იყოს ერთიანი. ყველა, ვინც კი უკმაყოფილოა „ქართული ოცნების“ მმართველობით.

იქნება ეს ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა, ნაციონალური მოძრაობა, ევროპული

საქართველო თუ სხვა. ყველანი თუ არ გაერთიანდნენ, ისე ივანიშვილის დამარცხება წარმოუდგენელია.

გარდა ამისა, საქართველოს ისტორიაში არ მომხდარა ის, რომ ყველაზე დიდი, ელექტორალურად ყველაზე მდიდარი ოპოზიციური პარტიის გარეშე გაერთიანება მოხდეს და შედეგის მიღწევა მოხერხდეს. მხედველობაში მაქვს ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო. ბევრს მოსწონს, ბევრს არ მოსწონს. თუ ხელისუფლების შეცვლაა მიზანი და არა მხოლოდ ის, რომ პარლამენტში მოხვდე 3%-იანი ბარიერს გადალახავ თუ ვერა, ან ისეთ ზღვარზე მიხვალ, როგორც ეს ბურჯანაძეს გაუკეთეს 2016 წელს. ან პატრიოტთა ალიანსს, როცა ბოლო დღემდე ითვლიდნენ, მას პროცენტები ჰყოფნიდა თუ არა. ამით არაფერი არ გამოვა.

ის, რომ ტოტალური უკმაყოფილებაა, ეს საკმარისი არ იქნება გამარჯვებისთვის. ხელისუფლების ხელში დღეს რამდენიმე ძლიერი ბერკეტია. არა მხოლოდ ხახვი და კარტოფილი. კიდევ სხვა ბევრი. ამიტომ გამარჯვება შესაძლებელია ერთობით. თუნდაც თურქეთის მაგალითი რომ ავიღოთ. თურქეთში უფრო შეურიგებელი პარტიები იყვნენ, ვიდრე დღეს ჩვენთან არიან, მაგრამ შეძლეს გაერთიანება და შედეგი დადეს. 49% აიღეს, თითქმის ნახევარ თურქეთს ოპოზიციური პარტიების გაერთიანება მართავს. ასე უნდა მოხდეს ჩვენთანაც, თუ ოპოზიცია ხელისუფლების შეცვლაზე რეალურად ფიქრობს. ამიტომ, ირაკლი ოქრუაშვილის პოზიცია ერთობაზე გამართლებულია.

„არ მინდა, კიდევ 30 წელი ჩინჩალაძეს ვუყურო უზენაეს სასამართლოში“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვენეციის კომისიის დასკვნასა და ირაკლი კობახიძესთან შეხვედრაზე საუბრობს.

– ქალბატონო ნაზი, ირაკლი კობახიძესთან გამართულ შეხვედრაზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, „ქართული ოცნება“ რისთვის არის მზად, ვენეციის კომისიის რომელი რეკომენდაციის გასათვალისწინებლად?

– ირაკლი კობახიძესთან დილას გვქონდა შეხვედრა. გამოვიტანე დასკვნა, რომ იგი აპირებს საპარლამენტო უმრავლესობას შესთავაზოს ვენეციის კომისიის 2 ძირითადი რეკომენდაციის გათვალისწინება. ესენია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით არსებული რეკომენდაცია და სამოსამართლეო გამოცდის გაუქმებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია.

– გია ვოლსკი აცხადებს, რაც გავითვალისწინეთ, იმას მიაქციეთ ყურადღება, რასაც არ გავითვალისწინებთ, იმაზე არგუმენტი გვექნებაო. იყო ამ არგუმენტებზე საუბარი?

– სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით რას აპირებს საპარლამენტო უმრავლესობა, ინფორმაციას არ ვფლობ.

ნებისმიერი განცხადება, რომელიც სასამართლოსთან დაკავშირებით კეთდება, გულდასმით, ფიქრის შედეგად უნდა იყოს გაკეთებული. ერთ შეცდომას მეორე შეცდომა არ უნდა მოვაყოლოთ, თორემ მივიღებთ იგივე სასამართლოს, რაც გვაქვს ან კიდევ უარესს.

ახლა არავის აქვს შეცდომის დაშვების უფლება. ნებისმიერი განცხადების გაკეთებისას, რომელიც სასამართლო სისტემას ეხება, კონტექსტი უნდა იყოს გათვალისწინებული. კონტექსტში ვგულისხმობ კლანის ინტერესებს, სისტემაში არსებულ უამრავ დეტალს და ა.შ.

– გიორგი მიქაუტაძე არ დაეთანხმება პარლამენტის თავმჯდომარეს, თუ კანონპროექტიდან მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდას ამოიღებენ. გამოცდის გაუქმება უზრუნველყოფს სისტემაში გარედან ახალი კადრების შესვლას?

– რა თქმა უნდა. მათ არ მოსწონთ გამოცდის გაუქმება, რადგან ეს კონკურენციას გაზრდის. თუმცა, საბოლოო ჯამში, კლანი მაინც იმ გადაწყვეტილებებს მიიღებს, რაც მას აწყობს.

– ლევან მურუსიძესაც მოსამართლეთა გამოცდების გაუქმება გულს სტკენს.

– ნუ დარდობს ლევან მურუსიძე. მიუხედავად ამ გამოცდების შესაძლო გაუქმებისა, ისინი მაინც გაიყვანენ იმ ხალხს, ვინც მათ აწყობთ. ეს არის ფორმალური განცხადებები მათი მხრიდან, თითქოს პარლამენტის თავმჯდომარე სხვა აზრზეა, ისინი – სხვაზე.

– მიქაუტაძე ამბობს, რომ გასაუბრებისთვის გამოყოფილ 20-30 წუთში ვერ ეტევიან და ამიტომ არის გამოცდა მნიშვნელოვანი.

– კი ბატონო, გავზარდოთ დრო, მაგრამ მიქაუტაძე გასაუბრების დროს რომ დარდობს, საკუთარი თავი რომ წარადგინა პარლამენტში კანდიდატად, რამდენი ხანი დასჭირდა ამ გასაუბრებისთვის?! ან იმ ათკაციანი სიიდან რომელ მათგანს ჩაუტარა გასაუბრება?! ამიტომ, რასაც მიქაუტაძე ამბობს, სრული სისულელეა.

– ვენეციის კომისიის ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომ ამ მოწვევის პარლამენტმა უზენაესი სასამართლო სრულად არ დააკომპლექტოს და შემდეგი მოწვევის პარლამენტსაც დაუტოვოს ეს უფლება. ეს რეკომენდაცია რაზე მიანიშნებს?

– მიანიშნებს იმაზე, რომ, ერთი მხრივ, ვენეციის კომისია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ ენდობა და ამ უნდობლობაზე არაერთგზის აქვს მინიშნება ტექსტში გაკეთებული. მეორე მხრივ, არ ენდობა არც პარლამენტს. სამწუხაროდ, ეს არის რეალობა. ამიტომ სთავაზობს ამ მოწვევის პარლამენტს, რომ მოსამართლეთა ნაწილი ახლა დანიშნოთ, რადგან ამ პროცესს ვერ შევაჩერებთ, ეს შეუძლებელია, მაგრამ ვენეციის კომისიამ იპოვა ასეთი არაორდინალური გამოსავალი და რეკომენდაცია გასცა, რომ მოსამართლეთა მეორე ნაწილი შემდეგი მოწვევის პარლამენტმა დანიშნოს.

– ირაკლი კობახიძე უკან იხევს?

– არა! ორი რეკომენდაციის გათვალისწინება ნამდვილად არ ნიშნავს უკან დახევას. ითვალისწინებენ იმ რეკომენდაციას, რომელიც ყველაზე ნაკლებ ზიანს მიაყენებს კლანს. ამ ორი რეკომენდაციის გათვალისწინების პირობებშიც შეიძლება იგივე ათკაციანი სია მოხვდეს პარლამენტში და ეს სია გავიდეს. ამიტომ რეალურად არაფერი არ იცვლება.

პარლამენტმა უნდა მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ჩინჩალაძის ხალხი არ მოხვდეს უზენაეს სასამართლოში. პრობლემა სწორედ ეს არის, თორემ საერთოდ არ გვქონდა არანაირი რეგულაცია, მაგრამ უზენაეს სასამართლოში არიან ღირსეული მოსამართლეები. ეს ორი რეკომენდაციაც რომ გაითვალისწინონ, ჩინჩალაძის ხალხი მაინც მოხვდება პარლამენტში.

– ოპოზიცია კანონპროექტისთვის კენჭისყრის ორი კვირით გადადებას ითხოვს. ამ ვადაში შეიძლება რამე შეიცვალოს?

– ფორსირებულად კანონის მიღება არ შეიძლება. უნდა დავფიქრდეთ, ვიღაცების ინტერესებს როდემდე უნდა ეწირებოდეს ეს ქვეყანა, მე არ ვიცი. მით უმეტეს, საუბარია ასეთ სერიოზულ საკითხზე.

მე არ მინდა, კიდევ 30 წლის განმავლობაში ჩინჩალაძეს ვუყუროთ უზენაეს სასამართლოში. იმედი მაქვს, პარლამენტი ამას არ დაუშვებს, მაგრამ მოვლენებს რომ ვუყურებ, სრულიად საწინააღმდეგოს ვხედავ.

კახა კოჟორიძე: „სანამ არსებობს კლანი, არაფერი შეიცვლება“

ნონა ცაბაძე

ვენეციის კომისიის დასკვნა სხვადასხვაგვარად გაიგეს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ. „ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი კახა კოჟორიძე პასუხობს.

– კახა, ჩვენ მოვისმინეთ ხელისუფლების და ოპოზიციის სხვადასხვა შეფასება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რას იტყვით თქვენ?

– ეს არის ერთ-ერთი კრიტიკული დასკვნა, რაც კი ვენეციის კომისიას საქართველოში შემუშავებულ კანონპროექტთან დაკავშირებით დაუწერია. თუ ხელისუფლების წარმომადგენლები იმას ამბობენ, რომ მნიშვნელოვანი შეთავაზება ამ დასკვნაში არ არის, მაშინ რატომ არ არის ასახული ის ძირითადი საკითხები, რაზეც ვენეციის კომისია ხაზგასმით აღნიშნავს.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად იმას, რომ არამოსამართლე წევრებს გამოცდის ჩაბარება არ უნდა მოეთხოვოთ და არასერიოზულია ის, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე კანდიდატს აბარებინებ მოსამართლის გამოცდას და მერე ეს გამოცდა თუ რამდენად კარგად ჩააბარე, ამოწმებენ კლანის წევრები.

მე მინდა ავხსნა, თუ რატომ ითხოვდნენ კლანის წევრები და რატომ ითხოვდა ეს კანონპროექტი გამოცდის ჩაბარებას.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ეს იყო ერთგვარი ბერკეტი, გაეთრიათ მათთვის არასასურველი კანდიდატები. იუსტიციის საბჭო აკომპლექტებს საგამოცდო კომისიას, რომელიც არის საიდუმლო, ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან საგამოცდო კომისიის წევრები, რა კრიტერიუმებით ამოწმებენ და ასე შემდეგ.

ეს იქნებოდა მათ ხელში ბერკეტი, რომ ისეთ ადამიანს, რომელიც სისტემაში ნამუშევარი არ არის და შესვლა უნდა ამ სისტემაში, მოუწყობდნენ გამოცდას და მერე იტყოდნენ, რომ ამ გამოცდაში მიიღო დაბალი ქულა და როგორ დაუმტკიცებ, რომ უკეთესი გეკუთვნოდა?

მათ თავიანთი სტანდარტები აჩვენეს არაერთხელ. ბატონ მურუსიძეს კეთილსინდისიერებაში 100-დან 95 ქულა დაუწერეს. ერთ-ერთ კომპონენტში დაუწერეს 15 შესაძლებლობიდან 20 ქულა.

– ანუ ვენეციის კომისია იუსტიციის საბჭოს მიმართაც კრიტიკული იყო?

– ვენეციის კომისიამ საკმაოდ საინტერესო შენიშვნები დადო. მან თქვა, რომ ამ მოწვევის პარლამენტმა ყველა ის ვაკანსია, რაც არსებობს უზენაეს სასამართლოში, არ უნდა შეავსოს. ნახევარზე მეტი არ უნდა შეავსოს!

ვენეციის კომისიამ თქვა, რომ ეს არის ძალიან დიდი რისკი. უზენაეს სასამართლოს უნდა ჰქონდეს ძალიან მაღალი ნდობა.

ვენეციის კომისიის ყველა შეთავაზება რომც გაითვალისწინოს უმრავლესობამ, რა თქმა უნდა, ეს იქნება უკეთესი, მაგრამ ჩვენ მაინც ჭაობში ვიქნებით, რადგან კლანი ღებულობს გადაწყვეტილებას.

– და კლანი რჩება უცვლელი?

– დიახ, კლანი რჩება უცვლელი. ვენეციის

კომისიისგან არ უნდა გვქონოდა ჩვენ ის მოლოდინი, რომ იტყოდა: მურუსიძის და ჩინჩალაძის კლანი უნდა წავიდეს. ეს არის ქართველი საზოგადოების გასაკეთებელი საქმე. ქართველი საზოგადოება თუ იქნება აქტიური, მაშინ ეს მოხდება, თუ არ იქნება აქტიური, მაშინ ჩვენ მივიღებთ მომდევნო 20-30 წლის განმავლობაში ამ ადამიანებისგან დაკომპლექტებულ სასამართლოს.

ეს გამოიწვევს იმას, რომ სასამართლოს არ ექნება ნდობა. უნდობლობა სასამართლოსადმი გამოიწვევს იმას, რომ ეკონომიკურად ვერ განვითარდებით. ბიზნესის განვითარება არის ორგანულად დაკავშირებული მართლმსაჯულებაში არსებულ სიტუაციასთან. საბოლოოდ კი საქართველო ვერ განვითარდება.

– რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ ხელისუფლება გონს მოეგება და უკან დაიხევს?

– როგორც ჩანს, მათ აქვთ აღქმა, რომ სასამართლო არის რაღაცა შპს. ამ შპს-ში მუშაობენ მურუსიძე და ჩინჩალაძე, რასაც მათ ავალებენ, ისინიც კარგად ასრულებენ და რატომ გაუშვებენ?!

ორი ძირითადი პრობლემაა დღეს მართლმსაჯულებაში. ერთი არის კლანის არსებობა და მეორე ის, რომ ამ კლანს აქვს მაღალი პოლიტიკური მხარდაჭერა. რომ არ იყოს პოლიტიკური ნება, ეს ადამიანები უვადოდ არ დაინიშნებოდნენ.

ახლაც საუბარია იმაზე, რომ უზენაეს სასამართლოში კიდევ უფრო გაიმყაროს კლანმა თავისი პოზიციები. შესაძლოა, ჩვენ აღარ ვნახოთ ზუსტად ის ათი სახელი და გვარი, ამ ათიდან დატოვონ შვიდი, ის სამი შეცვლილი იყოს სხვა სახელი და გვარი, მაგრამ ამას რეალური მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ყველა, ვისაც ისინი შეარჩევენ, მათი გავლენის აგენტი იქნება. ამიტომ არ არსებობს მოლოდინი, რომ სასამართლოში რაღაც გაჯანსაღება მოხდება. დღეს ვსაუბრობთ იმაზე, ჭაობში ყურებამდე უნდა ვიყოთ, ყელამდე თუ მხრებამდე.

– ვენეციის კომისიის როლი არაფერს ცვლის?

– ვენეციის კომისიის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი იქნება თუ გაითვალისწინებენ და აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, მაგრამ სანამ არსებობს კლანი, არაფერი შეიცვლება.

თანაინვესტირების ფონდის ახალი აღმასრულებელი დირექტორი ცოტნე ებრალიძე იქნება

GCF
GEORGIAN CO-INVESTMENT FUND

საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ახალი აღმასრულებელი დირექტორი ცოტნე ებრალიძე იქნება. ამის შესახებ საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„ბიზნესპრესნიუსი“ თანაინვესტირების ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„ცოტნე ებრალიძე 2018 წლიდან საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის დირექტორის და ამავდროულად 2013 წლიდან საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ტურიზმისა და უძრავი ქონების მიმართულების მმართველი დირექტორის პოზიციაზე მუშაობდა. აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიციას კი თეა ჯოხაძე დაიკავებს, რომელიც ფონდში 2013 წლიდან მმართველი დირექტორის პოზიციაზე მუშაობს.

გიორგი ბაჩიაშვილი, რომელიც ფონდის დაფუძნების დღიდან იკავებდა აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას, დღეიდან დაიკავებს ფონდის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას და იქნება პასუხისმგებელი, ფონდის მანდატის შესაბამისად საქმიანობის გაგრძელებაზე და სხვა საზოგადმხედველო საკითხებზე. მისი ხელმძღვანელობის ქვეშ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ჩაეყარა საფუძველი, რამდენიმე მათგანი უკვე დასრულებულიც არის და წარმატებით ოპერირებს.

– მოხარული ვარ, რომ წლების მანძილზე ჩვენს შესანიშნავ გუნდთან ერთად გვქონდა საშუალება დაგვეფუძნებინა და გვემართა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული ფინანსური ინსტიტუტი, მოგვეზიდა ინვესტიციები და არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განგვეხორციელებინა. შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ფონდის წარმატება ძლიერი გუნდის შედეგია, ჩვენ მოვიზიდეთ ქართველი პროფესიონალები საერთაშორისო განათლებით და გამოცდილებით. მე ვამაყობ, რომ ფონდის შიგნით არსებობენ ისეთი პროფესიონალები რომლებიც უზრუნველყოფენ მის ეფექტურ მართვას. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ როგორც მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ვიქნები იმის გარანტი, რომ ფონდი წარმატებით გააგრძელებს მუშაობას თავის მანდატის შესაბამისად. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ბატონ ბიძინა ივანიშვილს იმ ნდობისთვის და მხარდაჭერისთვის, რომელიც მან მთელს ჩვენს გუნდს გამოუცხადა. ჩვენ გვჯერა, რომ ფონდის თითოეული პროექტი დადებით გავლენას იქონიებს ჩვენი ქვეყნის ყოველ მცხოვრებზე. დღეის მდგომარეობით ფონდი 2.2 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტებს ახორციელებს და მათში ჯამში დასაქმებულია ათი ათასამდე ადამიანი. მინდა დიდი წარმატება ვუსურვო ცოტნე ებრალიძეს ახალი გამოწვევების წინაშე, – განაცხადა ბაჩიაშვილმა.

– მინდა მადლობა გადავუხადო გიორგი ბაჩიაშვილს იმ სამუშაოსთვის, რაც მან ფონდისთვის ექვსი წლის განმავლობაში გაწია. მოხარული ვარ, რომ ის ჩვენს გუნდში რჩება და გააგრძელებს ჩვენს მხარდაჭერას. დარწმუნებული ვარ, რომ ფონდის მმართველ გუნდთან ერთად მომდევნო წლების განმავლობაში წარმატებით დავასრულებთ დაწყებულ პროექტებს და წამოვიწყებთ კიდევ მრავალ ახალ მნიშვნელოვან პროექტს, – აცხადებს ცოტნე ებრალიძე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს თანაინვესტირების ფონდი (GCF) არის კერძო კაპიტალის ფონდი, რომლის მთავარი მიზანია, საქართველოში არსებულ მზარდ ინდუსტრიებში საინვესტიციო პროექტების განხორციელება. ფონდი, რომელიც 2013 წლიდან ამოქმედდა, მიზნად ისახავს დააბანდოს არსებული კაპიტალი და მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელოს როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად.

– საქართველოს თანაინვესტირების ფონდი აერთიანებს ქვეყნისათვის ისეთ სტრატეგიულ საინვესტიციო მიმართულებებს, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა და ლოგისტიკა, ტურიზმი და უძრავი ქონება, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა და მრეწველობა, – აღნიშნულია განცხადებაში.

ბპნ

აფგან მუხთარლის დაცვა საქართველოს პრემიერის განცხადებას უარყოფს

მარიამ მჭედლიშვილი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე რამდენიმე დღის წინ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს სხვა კრიტიკულ შეკითხვებთან ერთად მოუხდა პასუხის გაცემა სინდისის პატიმრად შერაცხული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმეზე.

მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, რომ საქმის გამოძიება მიმდინარეობს, ამ საკითხზე ერთმანეთთან კოორდინაციაში იმყოფებიან ქართული და აზერბაიჯანული მხარეები.

საქართველოს პრემიერს გამოეხმაურნენ აფგან მუხთარლის დამცველები. მათ უარყვეს თანამშრომლობა ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის და აღნიშნეს, რომ საქართველოს ხელისუფლება დღემდე უარს ამბობს ქუჩაში დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერების წარმოდგენაზე.

თბილისის ცენტრიდან 2017 წლის 30 მაისს გაუჩინარებული ჟურნალისტი აზერბაიჯანის ციხეში იხდის სასჯელს. საქართველოში იცვლებიან პრემიერები, შინაგან საქმეთა მინისტრები და გენპროკურორები, მუხთარლის საქმე კი საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია. საქართველოს ამ თემაზე შეკითხვებს უსვამენ ევროსტრუქტურები. დაახლოებით ორი წელიწადია, საქართველოს ხელისუფლების პასუხი უცვლელია. ხელისუფლება ამბობს, რომ მიმდინარეობს გამოძიება.

მამუკა ბახტაძემ ამას დაამატა კოორდინაცია აზერბაიჯანულ მხარესთან, რასაც გამოეხმაურა მუხთარლის დაცვა.

– ეს თანამშრომლობა არ დასტურდება ქმედებებით, – აცხადებს მსჯავრდებულის ადვოკატი ზიბეიდა სადიგოვა.

მისი თქმით, ამგვარი თანამშრომლობის საგანი უნდა იყოს თბილისში აფგან მუხთარლის გატაცებისა და მისი აზერბაიჯანში გადაყვანის გარემოებების გამოძიება. საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს აფგან მუხთარლი აზერბაიჯანში არ დაუკითხავთ.

ჟურნალისტის საზოგადოებრივი დამცველი სამიდ ასადლი აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას დღემდე არ წარმოუდგენია ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომლებზეც აღბეჭდილი უნდა იყოს მუხთარლის გატაცება.

მისი სიტყვებით, საქართველოს შესაბამის ორგანოებს რომ ეს საქმე ობიექტურად გამოეძიებინათ, აფგან მუხთარლის მეუღლე ლეილა მუსტაფაევა საქართველოს არ დატოვებდა. იგი საქართველოში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობდა.

აფგან მუხთარლის სასამართლომ 6-წლიანი პატიმრობა 2018 წლის იანვარში მიუსაჯა. მას აზერბაიჯანის საზღვრის დარღვევას, კონტრაბანდის გადატანას და მესაზღვრეებისთვის წინააღმდეგობის გაწევას ედავებიან.

აზერბაიჯანის საგანგებო და უზენაესმა სასამართლოებმა განაჩენი ძალაში დატოვეს.

არსებობს მისი გათავისუფლების შანსი. უზენაესი სასამართლოს პლენუმს შეუძლია განიხილოს ეს საკითხი, თუ მანამდე იქნება გენპროკურორის პროტესტი ან ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.

სტრასბურის სასამართლო იხილავს აფგან მუხთარლის 2011 წლის საქმეს. მაშინ ბაქოში ხელისუფლებამ საპროტესტო აქცია დაარბია. აქციის მონაწილეებში მუხთარლიც იყო. შესაბამისი შეკითხვებით ევროპულმა სასამართლომ მუხთარლიზე გარკვეული ხნის წინ თბილისსა და ბაქოსაც მიმართა.

„ემნისტი ინტერნეიშენელმა“ მუხთარლის სინდისის პატიმარი უწოდა, პოლიტპატიმრების დამცველმა ორგანიზაციებმა – პოლიტპატიმარი.

აფგან მუხთარლი დაკავებისთანავე აცხადებდა, რომ იგი საქართველოს კრიმინალური პოლიციის ფორმებში ჩაცმულმა პირებმა გაიტაცეს და აზერბაიჯანულ მხარეს გადასცეს. ამის მიზეზად იგი თავის საგამომძიებლო ჟურნალისტურ ანტიკორუფციულ საქმიანობას ასახელებდა, რითიც პრობლემებს უქმნიდა აზერბაიჯანის პრეზიდენტს.

2018 წელს აფგან მუხთარლიმ დამცველებთან და ჟურნალისტებთან თავის გატაცებაზე უფრო მეტი თქვა. მან ამაში დაადანაშაულა საქართველოს მაშინდელი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, კრიმინალური პოლიცია და „ლაგოდეხის“ საბაჟო გამშვები პუნქტი. ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ ისინი ასე ილჰამ ალიევის თხოვნით მოიქცნენ.

აფგან მუხთარლიმ ბიძინა ივანიშვილისა და ილჰამ ალიევის საერთო ბიზნესინტერესებზე ისაუბრა. მუხთარლიმ დაადგინა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი საქართველოში ტურისტულ ბიზნესს ეწევა. მის მფლობელობაშია სასტუმროები, მიწის ნაკვეთები, ავიაკომპანია „სილქ ვეი“ და ორგანიზაცია „სილქ ვეი ჯორჯია“. საქართველოში ილჰამ ალიევის ბიზნესპარტნიორია ბიძინა ივანიშვილი.

ჟურნალისტმა დაასკვნა, რომ იგი ამ ბიზნესპარტნიორობის მსხვერპლი გახდა.

აზერბაიჯანელმა დეპუტატმა ნასიროვმა მუხთარლის იმ ქსელის წევრი უწოდა, რომელიც აზერბაიჯანის წინააღმდეგ თბილისიდან მავნებლობდა. ნასიროვის ინფორმაციით, ჟურნალისტის წინააღმდეგ იმოქმედეს საქართველოსა და აზერბაიჯანის სპეცსამსახურებმა.

ნასიროვის ეს განცხადება ყველამ უარყო.

გორელმა კაცმა, პროტესტის ნიშნად, მოხუცი დედა სოციალური მომსახურების სააგენტოში დატოვა

გორელმა კაცმა, პროტესტის ნიშნად, მოხუცი დედა სოციალური მომსახურების სააგენტოში დატოვა. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, სწორედ ამიტომ, სოციალურ სააგენტოში პოლიცია გამოიძახეს.

არჩილ ჭულხაძის განცხადებით, მისი 70 წლის დედა სააგენტოში პროტესტის ნიშნად მას შემდეგ დატოვა, რაც მოხუცს ასაკობრივი პენსია შეუწყვიტეს. ნანა ჭულუხაძე ნერვიულობის ნიადაგზე, სოციალურ სააგენტოში ცუდად გახდა, რის შემდეგაც, სამედიცინო ცენტრ „გორმედში“ გადაიყვანეს.

– სოციალურში დავტოვე და ვუთხარი: პენსიას რომ დაურიცხავთ, მოვალ და წავიყვან, არაფერი პრობლემა არ იქნებათქო. პენსია შეუწყვიტეს თურმე იმიტომ, რომ ექვსი თვის განმავლობაში ერთხელ მაინც თავად უნდა ჩამოსულიყო, თუმცა, არ გაითვალისწინეს, რომ ლოგინს არის მიჯაჭვული. არაფერი შეტყობინება არ გამოუგზავნიათ არც სოციალურებს და არც ბანკს, – აცხადებს არჩილ ჭულუხაძე. საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს სოციალური მომსახურების სააგენტოში. თეა თედელური აცხადებს, რომ პენსიის შეჩერების მიზეზი, მინდობილობის განახლების აუცილებლობა გახდა.

– თუ ადამიანი მინდობილობით იღებს პენსიას, ერთი წლის შემდეგ ეს პენსია უჩერდება, რადგან მინდობილობა უნდა აღდგეს. მინდობილობის აღდგენის შემდეგ კუთვნილ პენსიას აიღებს, – აცხადებს შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი თეა თედელური.

ჭულუხაძეები გორში, კომბინატის დასახლებაში ცხოვრობენ. მათ სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვთ და საცხოვრებელი ფართი დროებით, ნათესავმა გამოუყო. ოჯახი დახმარებას ხელისუფლებას სთხოვს.

ანა დოლიძე: „ვენეციის კომისიის მიმართ ასეთი უდიერი დამოკიდებულება, მძიმე რეპუტაციულ დარტყმას მოიტანს“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნისა და შერჩევის კრიტერიუმები – ვენეციის კომისიის რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გასაჯაროვდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ანა დოლიძის განცხადებით, მოსალოდნელი იყო, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ექნებოდა სრულიად ფორმალისტური დამოკიდებულება ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანოს მიმართ.

– უამრავი, 10-მდე ძირეული ცვლილებისგან განსხვავებით, თავმჯდომარე აპირებს, რომ გაითვალისწინოს ერთი ან ორი. ეს, რა თქმა უნდა, დემოკრატიულობას იმ პროცესს ვერ შესძენს, რომელიც წარიმართება. ეს მოიტანს ძალიან ცუდ შედეგს და უდიდეს რეპუტაციულ დარტყმას ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან. ვენეციის კომისია არის სერიოზული, საერთაშორისო, ჩვენი პარტნიორი ორგანო, მის მიმართ ასეთი უდიერი დამოკიდებულება, მისი დაჩქარება ჯერ და მერე მისი რეკომენდაციების გადაგდება გვერდზე, მოიტანს მძიმე რეპუტაციულ დარტყმას, – აცხადებს ანა დოლიძე.

იუსტიციის საბჭოს მეორე არამოსამართლე წევრის, ნაზი ჯანეზაშვილის განცხადებით, მმართველი გუნდის მხრიდან მხოლოდ ერთი ან ორი რეკომენდაციის გათვალისწინება საკმარისი არ არის:

– პარლამენტი კომპლექსურად უნდა მიუდგეს ვენეციის კომისიის დასკვნას და მხოლოდ ამოგლეჯილად, ერთი ან ორი რეკომენდაციის გათვალისწინება არსებულ ვითარებას და სურათს ვერ შეცვლის, რადგან ისევ იქნება შესაძლებლობა იმისა, რომ ჩინჩალაძემ და ამ ადამიანებმა, რომელსაც დღეს აქვს გავლენა სასამართლო სისტემაში, ისევ შეინარჩუნონ თავისი პოზიცია, – განაცხადა ნაზი ჯანეზაშვილმა.

ისკო დასენი: „მეგობარი ჯაფარიძის ნაცვლად დავაჭირე ღილაკს თითი“

დაპირისპირება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – უკმაყოფილება პროცედურებისა და რეგლამენტის დარღვევის გამო მოხდა.

დაფიქსირდა კადრები, როცა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ისკო დასენმა სხვა დეპუტატის პულტით ისარგებლა, მან კენჭისყრაზე ხმა სხვისი სახელით მისცა. აღნიშნულს ოპოზიციის მხრიდან მწვავე კრიტიკა და უკმაყოფილება მოჰყვა.

თავად დასენმა კი აღნიშნა, რომ ღილაკს თითი მეგობარი დეპუტატის ნაცვლად დააჭირა:

– მეგობარი ჯაფარიძის ნაცვლად დავაჭირე ღილაკს თითი, – განაცხადა ისკო დასენმა.

მარჯვენასაჭიანი ტაქსები 2021 წლის 1 იანვრიდან აიკრძალება

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ტაქსების საინიციატივო ჯგუფთან მეორე პრობლემურ საკითხზეც მიღწეულია შეთანხმება და მარჯვენასაჭიანი ტაქსები „ბ“ კატეგორიაში 2020 წლის ბოლომდე დარჩებიან.

– მათ აგვიხსნეს, რომ ერთი წელი, რომელიც მათ ჰქონდათ, არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ მომზადებულიყო მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მძღოლები, მომხდარიყო ამ ავტომობილების ჩანაცვლება და გვთხოვეს, რომ „ბ“ კატეგორიაში მარჯვენასაჭიანი ტაქსები იყოს დაშვებული. ჩვენ ამაზე დავთანხმდით და აქაც გვინდა, რომ ეს დროში ჩავკეტოთ. 2021 წლის 1 იანვრიდან უკვე ავტომატურად შევა ძალაში ის, რომ მარჯვენასაჭიანები აიკრძალება „ბ“ კატეგორიაში. მათ აქვს წელიწადნახევარი იმისთვის, რომ მოახდინონ ავტომობილების ჩანაცვლება. ჩვენი მხრიდან ეს ნაბიჯი გადადგმულია, რადგან კარგად გვესმის ამ ადამიანებისდა ზოგადად არსებული მდგომარეობა და ვაძლევთ შესაძლებლობას მოახდინონ ავტომობილების ჩანაცვლება და 2021 წლიდან უკვე მარცხენასაჭიანი ავტომობილებით გააგრძელონ საქმიანობა, – განაცხადა კახა კალაძემ.

ამირან გამყრელიძე: „ყოველდღიურად წითელას 15-25 შემთხვევა ფიქსირდება“

საქართველოში ყოველდღიურად წითელას 15-25 შემთხვევა ფიქსირდება – ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ განუცხადა.

მისი თქმით, ქვეყნის მასშტაბით შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისშია, შემდეგ მოდის დასავლეთ საქართველოს რეგიონები – იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, მომდევნო კი, კახეთია.

ოფიციალური მონაცემებით, წელს წითელას 3.172 შემთხვევა დასტურდება.

– იანვრიდან, ამ წლის განმავლობაში გვაქვს წითელას 3.172 შემთხვევა, რაც მეტია, ვიდრე შარშან მთელი წლის განმავლობაში ანუ წითელას ეპიდაფეთქება ჯერ კიდევ გრძელდება და აცრების გარდა ვერაფერი შეაჩერებს. დღევანდელი მდგომარეობით, გეგმური აცრების გარდა, დამატებით ვაქცინაცია დაახლოებით 118 ათასმა ადამიანმა ჩაიტარა, თუმცა ეს არ არის საკმარისი. ვიდრე აცრილთა რაოდენობა 350 ათასს არ მიაღწევს, ინფექცია უკან არ დაიხევს, – განაცხადა გამყრელიძემ.

მისი თქმით, ინფექცია ძირითადად 20-დან 40-წლის ასაკობრივ ჯგუფში ვრცელდება. ძირითადად ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც 90-იან წლებში არ აცრილან ან წითელა არ გადაუტანიათ.

ამასთან, გამყრელიძე განმარტავს, რომ წითელას შემთხვევები მაღალია 0-დან ერთ წლამდე ბავშვებში.

– წითელას საწინააღმდეგო იმუნიტეტი ბავშვს დედიდან გადაეცემა. თუ დედა აცრილია ან გადატანილი აქვს წითელა, ბავშვი დაბადებიდან პირველი რვა თვის განმავლობაში დაცულია, – განუცხადა საქართველოს პირველ არხს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ორსულებსა და მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებს და ურჩევს, ცხელებისა და გამონაყარის გარდა, ყურადღება მიაქციონ პირის ღრუს. ვირუსს განვითარების რთული ფორმებიც ახასიათებს და ხშირად, ფილტვების ანთებით მიმდინარეობს.

გიორგი კოდუა ხელისუფლებას მიმართავს — ივანიშვილის ინტერვიუ ჩემთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა

ბიზნესმენი გიორგი კოდუა „კომერსანტის“ საშუალებით ხელისუფლებას მიმართავს. ბიზნესმენის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– ჩემი ცხოვრების ბოლო 30 წელი, ავიაციის ბიზნესში ვარ. ამ მიმართულებით, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მიმუშავია. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ვხედავდი, რომ ამ სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარება, პირდაპირპროპორციულად იყო დაკავშირებული სწორედ ტრანსპორტისა და ავიაციის განვითარებასთან. ბუნებრივია, გამიჩნდა სურვილი, ეს მოდელი და მიდგომები საქართველოშიც გადმომეტანა – ტრანსპორტის განვითარება, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ლოკომოტივი გამხდარიყო, გამოგვეყენებინა ის რესურსი, რაც საქართველოს მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ჰქონდა. გაჩნდა კონკრეტული პროექტებიც.

ერთ-ერთ მაგალითს მოგიყვანთ – საქართველოს გავლით, აღმოსავლეთის მიმართულებით, ნატოს ტვირთების ტრანსპორტირებას ვახდენდით. თუმცა, როცა კონკრეტული ადამიანების ინტერესები გადავკვეთე, წინააღმდეგობამაც არ დააყოვნა. მე არასდროს დამიმალავს, რომ ამ პროექტის გამო, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებთან სერიოზული დაპირისპირება მქონდა, რაც ჩემსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის წყალგამყოფი აღმოჩნდა.

ჩემთვის მიუღებელი იყო ბიზნესის მიმართ მიდგომა, მისი შევიწროვება. ამაზე ღიად არაერთხელ მისაუბრია. ამ პროექტთან მიმართებაში ერთპიროვნულმა გადაწყვეტილებებმა, საბოლოოდ ბიზნესიც დააზიანა და ქვეყნის ინტერესიც --საქართველომ ნატოს ტვირთების გადაზიდვის პროექტი დაკარგა. სწორედ ამგვარმა შემთხვევებმა გადამაწყვეტინა, რომ 2012 წელს, სრულიად აპოლიტიკურ ადამიანს, რომელიც მხოლოდ ბიზნესზე იყო ორიენტირებული, პოლიტიკური განცხადებები გამეკეთებინა, ასევე საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას „თავისუფალ დემოკრატებისთვის“ დამეჭირა მხარი.

იმედი მქონდა, რომ მომხდარი ცვლილებები, ახალ იდეებსა და ბიზნესის თავისუფლებას მოიტანდა. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლით, მე დავინახე შანსი, რომ ის ნაკლოვანებები და შეცდომები, რაც წინა ხელისუფლებამ დაუშვა, გამოსწორდებოდა. დავინახე ძალა, რომელიც გვპირდებოდა ბიზნესის გათავისუფლებას, მაგრამ საბოლოოდ მოჯადოვებულ წრეში აღმოვჩნდით.

საქართველოს განვითარებას, გლობალური და ამბიციური პროექტების განხორციელებაში ვხედავ. მოქმედი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მიერ, სხვადასხვა დროს გაკეთებული განცხადებები, სწორედ ჩემს ამ მოსაზრებას ემთხვეოდა. მაგალითად მოვიყვან ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებებს, რომ საქართველო რეგიონული ჰაბი უნდა გახდეს, მოქმედი პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის არაერთ გამოსვლას ამავე თემაზე, მინისტრ გიორგი გახარიას გზავნილებს. მთავრობის წევრების ეს გზავნილები ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევდა, მაგრამ განცხადებები, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ სატელევიზიო ინტერვიუში გააკეთა, ჩემთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. ფაქტობრივად მე მოვისმინე, რომ საქართველო უნდა იყოს გუბერნია, სოფელი და აქ არ არის საჭირო დიდი პროექტების განხორციელება. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება დააფიქსირა მან ანაკლიის პორტის პროექტის მიმართ.

რად გვინდა შავი ზღვა, თუკი მის პოტენციალს არ გამოვიყენებთ, თუკი ჩრდილოეთის ნაკადის საქართველოს კორიდორში გადმოტანას არ შევეცდებით და ქვეყნის ფუნქციას, როლს და დანიშნულებას არ შევძენთ. ამით ხომ სარგებელს მხოლოდ ბიზნესი არ მიიღებს, ეს ქვეყნის და თითოეული მოქალაქის სარგებელი იქნება. ანაკლიის პორტი ვერ იარსებებს, როგორც ცალკე აღებული პროექტი, ის კოორდინაციაში უნდა იყოს რკინიგზასთან, ავიაციასთან და საავტომობილო ტრანსპორტთან. ეს არის ჩემთვის ის საოცნებო ჯაჭვი, რომელმაც ქვეყანა საკომუნიკაციო ცენტრად უნდა აქციოს. ქართველები სულ ვსაუბრობთ და ვამაყობთ, რომ კარგ ადგილას ვცხოვრობთ.

რას ნიშნავს კარგი ადგილი, თუკი ის, მატერიალურ დოვლათში არ ტრანსფორმირდა, რას ვაკეთებთ ამისთვის ჩვენ და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ხელისუფლება?

სახელმწიფოს გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელია, ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ კი, მთლიანად დაანგრია ჩემი ოპტიმიზმი. ამ განცხადებით, ჩემთვის პროექტის განხორციელება ეჭვის ქვეშ დადგა. ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ახლა კი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, ხელისუფლებაზე დიდი გავლენა აქვს და თუკი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ ანაკლიის პორტის პროექტი ბიზნესისთვის საინტერესო არ არის, ეს ჩემთვის ბევრი რამის მანიშნებელია. ასეთი შინაარსისა და განწყობის განცხადებები პარადოქსული და მიუღებელია.

თუკი ჩვენ არ გვჯერა ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებისა და პოტენციალის, თუკი ქვეყნის ყველაზე გავლენიანი პირი ასეთ სკეპტიკურ განცხადებებს აკეთებს „საუკუნის პროექტად“ წოდებული პორტის მიმართ, როგორ დაიჯერებს პოტენციური ინვესტორი. ხელისუფლება თავად უნდა იყოს როგორც ქართული საზოგადოების, ისე საერთაშორისო ინვესტორების მოტივატორი და დამარწმუნებელი. ამიტომაც ასეთი შინაარსის განცხადებები სრულიად გაუგებარი და დამაზიანებელია. ასეთი პოლიტიკით ვერც ფონს გავალთ და ვერც ქვეყანას ავაშენებთ.

პოლიტიკური სპექტრიც და ბიზნესიც უნდა შეთანხმდეს ქვეყნის განვითარების მინიმუმ 50 წლიან გეგმაზე, რომლის საკვანძო ელემენტიც სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება იქნება. პორტები, რკინიგზა, ავიაცია და საავტომობილო ტრანსპორტი, ერთიან კოორდინირებულ მექანიზმად უნდა იქცეს. სწორედ ეს გადააქცევს საქართველოს მიზიდულობის ცენტრად და ჰაბად კავკასიის რეგიონში, რაზეც ასე ხშირად საუბრობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები“.

ენერგოომბუდსმენის აპარატში ყოველი მეორე საჩივარი „სოკარ ჯორჯია გაზის“ წინააღმდეგ შედის

2018 წელს ბუნებრივი გაზის სექტორში სადავო საკითხებთან დაკავშირებით ენერგოომბუდსმენის აპარატში 1296 განცხადება/საჩივარი შევიდა. აქედან, მომხმარებელთა ყველაზე დიდი რაოდენობა პრეტენზიას შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიმართ გამოთქვამს – ერთ წელიწადში ამ კომპანიის წინააღმდეგ 738 საჩივარი დაფიქსირდა.

როგორ „კომერსანტთან“ საუბარში ენერგოომბუდსმენმა სალომე ვარდიაშვილმა აღნიშნა, აბონენტთა უკმაყოფილებას ძირითადად გაზიფიცირების გაჭიანურებული ვადები და მრიცხველების მუშაობა იწვევს.

– მომხმარებლის უკმაყოფილება ძირითადად ვადებს უკავშირდება. არადა, გაზიფიცირების ვადებთან დაკავშირებით სემეკის მიერ დადგენილი პაკეტი არსებობს, რაც 40 დღეში სამუშაოების დასრულებას კომპანია, ხშირად ვერ ასწრებს დათქმულ ვადაში პირობის შესრულებას და მომხმარებელი ითხოვს ამის დაჩქარებას. ბოლო პერიოდში „სოკართან“ შეუფერხებლად ვთანამშრომლობთ და ადმინისტრაციული დავის წამოწყებაც აღარ გვიწევს. ჩვენ მიერ გაგზავნილ წერილებზე ადეკვატურად რეაგირებენ. დაგვიანების შემთხვევაში სემეკის მიერ დადგენილი წესის თანახმად, მომხმარებელს მომსახურების საფასურს უნახევრებენ. იმ შემთხვევაში, თუ ორმაგი ვადის გადაცილებაა, მთლიანად ანულებს საფასურს. ეს გაზიფიცირებას რაც შეეხება. გვაქვს ასევე გამრიცხველიანებული აბონენტების მომართვიანობაც. რაც არის ძირითადად დაკავშირებული მრიცხველთან – შეიძლება კომპანია ედავებოდეს მომხმარებელს უკანონო მოხმარებაზე, ან თავად მოქალაქე არ ეთანხმებოდეს მათ ბრალდებას. ჩვენ ჩვენი მხრივ ვარკვევთ, რამდენად სწორად დარიცხა „სოკარმა“ ზიანის ანაზღაურების სახით მოსათხოვი თანხა, – აცხადებს სალომე ვარდიაშვილი.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების საქმიანობას საქართველოში 2006 წლიდან ახორციელებს. ამ ხნის მანძილზე კომპანიის მიერ გაზიფიცირებას და გაზმომარაგების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ინვესტირებულია 300 მლნ აშშ დოლარზე მეტი.

„სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ „კომერსანტისთვის“ მიწოდებული ინფორმაციით, ბოლო 3 წლის მანძილზე კომპანიამ სულ 212.000-ზე მეტი ??აბონენტის გაზიფიცირება მოახდინა. ბოლო 1 წლის განმავლობაში კი 80.000-ზე მეტი აბონენტი გამრიცხველიანდა. 2016 წლიდან დღემდე 350-მდე სოფელია გაზიფიცირებული.

საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური, გამანაწილებელი ქსელიდან 300 მეტრის რადიუსში 400 ლარს შეადგენს. აღნიშნული საფასური შიდა ქსელის ერთი წერტილის მოწყობას და ბუნებრივი გაზის ერთი ხელსაწყოს მიერთებას მოიცავს.

კომერსანტი

ირაკლი ლექვინაძე: „აჭარიდან მომართვიანობის 50% მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სექტორებიდან გვაქვს“

„ბიას“ რეგიონული შეხვედრების ფარგლებში ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე და ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენელი აჭარაში ტარიელ გიორგაძე ბათუმში ადგილობრივი ბიზნესის 150-მდე წარმომადგენელს შეხვდნენ.

ირაკლი ლექვინაძემ მეწარმეებს ბიზნესომბუდსმენის აპარატის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა და 2019 წლის I კვარტალში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მომართვიანობის სტატისტიკა გააცნო.

– აჭარის რეგიონიდან მომართვიანობის 50% მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სექტორებში დასაქმებული კომპანიების მხრიდან ფიქსირდება და ყველაზე ხშირად მეწარმეები ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან და ბათუმის მერიასთან შუამდგომლობის თხოვნით მოგვმართავენ, – განაცხადა ბიზნესომბუდსენმა.

ირაკლი ლექვინაძემ 2019 წლის I კვარტალში ბიზნესომბუდსმენის აპარატში მომართვიანობის ანალიზის მიხედვით აჭარაში ბიზნესის ინტერესების დაცვის მიმართულებით გამოკვეთილ კრიტიკულ საკითხებზეც ისაუბრა.

– მომართვიანობის ანალიზით, აჭარაში ბიზნესგარემოს მიმართულებით გამოწვევად რჩება მეწარმეების წერილებზე მუნიციპალიტეტის მხრიდან დაგვიანებული და ბუნდოვანი პასუხები. ამას გარდა, ვმუშაობთ საქმეზე, სადაც მუნიციპალიტეტი აჭიანურებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას, – ამბობს ირაკლი ლექვინაძე.

ბინზესომბუდსმენის აპარატი აგრძელებს რეგიონებში ადგილობრივ ბიზნესთან შეხვედრებს და შემდეგი შეხვედრა ქუთაისშია დაგეგმილი.

„კომერსანტი“

1,3 მლრდ ლარი ერთ წელიწადში — რა თანხას დებენ ქართულ ტოტალიზატორებში

საქართველოში აზარტული თამაშებისადმი ინტერესი და, შესაბამისად, დადებული ფსონების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. მართალია, ზუსტი სტატისტიკა იმისა, თუ რამდენი ადამიანი „თამაშობს“, უცნობია, თუმცა ცნობილია მათ მიერ დადებული ფსონების მოცულობა. 2018 წელს ტოტალიზატორებში 232,1 მლნ ლარით, დაახლოებით 22%-ით მეტი ფსონი დაიდო, ვიდრე 2017 წელს.

უფრო კონკრეტულად, ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში 2018 წელს მიღებული ფსონების ჯამმა 1.294.633.461 ლარი შეადგინა, 2017 წელს კი – 1.062.533.252 ლარი. ანუ გამოდის, რომ შარშან საქართველოს მოქალაქეებმა ტოტალიზატორებში 232.100.209 ლარით მეტი თანხა „დადეს“, ვიდრე 2017-ში.

ცნობისათვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში, პირისთვის საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით. ამ შემთხვევაში პირი ვალდებულია, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით წარადგინოს დეკლარაცია და იმავე ვადაში გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი.

რაც შეეხება ზოგადად აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვის მქონე ოპერატორების ბრუნვას, ისიც ყოველწლიურად იზრდება და გამორიცხული არაა, რომ 2018 წლის დაზუსტებული მონაცემების გამოქვეყნებისას, ამ მაჩვენებელმა 10 მლრდ ლარსაც გადააჭარბოს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, შარშან იმ სექციის ბრუნვამ, სადაც აზარტული თამაშების სექტორიც შედის, წინასწარი მონაცემებით ჯამში 12,596 მლრდ ლარი შეადგინა. დაზუსტებული მონაცემები სტატისტიკის სამსახურს ოქტომბერში ექნება, თუმცა თუ 2017 წლის მონაცემებს ავიღებთ, ვნახავთ, რომ „ხელოვნება, გართობა და დასვენების“ სექციის ბრუნვიდან 97%-ზე მეტი სწორედ აზარტული თამაშების ბიზნესზე მოდიოდა. 2017 წელს აზარტული თამაშების ნებართვის მქონე ოპერატორების ბრუნვა 6,050 მლრდ ლარს შეადგენდა.

ბპნ

მარტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 5 ათასით გაიზარდა

2019 წლის მარტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 4.982 ადამიანით გაიზარდა. სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით, მარტში სახელმწიფოსგან შემწეობას 451.132 ადამიანი იღებდა, რაც მთლიანი მოსახლეობის 12,1%-ს შეადგენს. თებერვალში კი ფულად დახმარების მიმღებთა რიცხვი 446.150-ს შეადგენდა.

ამავე სტატისტიკის მიხედვით, საარსებო შემწეობის მიმღებთა ყველაზე დიდი რიცხვი თბილისში ფიქსირდება, დედაქალაქში ფულად დახმარებას სახელმწიფოსგან 99.959 ადამიანი იღებს. მეორე ადგილზეა იმერეთი – 62.990 ადამიანი; ღარიბი მოსახლეობით სამეულში შედის სამეგრელო-ზემო სვანეთი, აქ საარსებო შემწეობას 54.307 ადამიანი იღებს.

რაც შეეხება სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობას, ის 2019 წლის მარტში თებერვალთან შედარებით 6.424 ადამიანით გაიზარდა. კონკრეტულად – თებერვალში ბაზაში რეგისტრირებული იყო 953.772 ადამიანი, მარტში კი – 960.196.

ბპნ

ირაკლი კაკაბაძე პროკურატურაში გამოკითხეს

„გამოკითხვა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეს ეხებოდა“

გუშინ, 17 აპრილს, ირაკლი კაკაბაძე პროკურატურაში გამოკითხეს.

ოთხსაათნახევრიანი გამოკითხვის შემდეგ „ინტერპრესნიუსთან“ მან განაცხადა, რომ საგამოძიებო უწყებაში ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ გადაცემაში გაჟღერებული ინფორმაციის გამო დაიბარეს, რომლის მიხედვითაც, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ეკონომიკური ინტერესების მსხვერპლი გახდა.

კაკაბაძე არ აკონკრეტებს, თუ საიდან ფლობს ის აღნიშნულ ინფორმაციას. თუმცა, აცხადებს, რომ ჟვანია როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ინტერესებს შეეწირა, რომლებიც რუსეთის იმპერიულ ინტერესებს უკავშირდება.

– გამოკითხვა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეს ეხებოდა. გამოძიებას რა ინფორმაცია მივაწოდე და რასთან დაკავშირებით იყო საუბარი, ამ დეტალებზე გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ვისაუბრებ. ზურაბ ჟვანია გარკვეული მაფიოზური ჯგუფების, ან ერთი ჯგუფის მსხვერპლია, რომელთაც მან გზა აღუკვეთა თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, რომლებიც კავშირში იყვნენ რუსული სადაზვერვო სამმართველოს მაღალ წრეებთან.

ის ხალხი, ვისზეც მაქვს საუბარი, ანაკლიის და ფოთის პორტზე საუბრობდნენ. ვფიქრობ, მთავარი მიზეზი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები იყო, რომელიც რუსეთის იმპერიულ ინტერესებს უკავშირდებოდა, – აცხადებს კაკაბაძე.

კითხვაზე, თუ საიდან აქვს მას აღნიშნული ინფორმაცია, ან ფლობდა თუ არა მას აქამდეც, კაკაბაძე პასუხობს, რომ მსგავსი ინფორმაცია საგამოძიებო უწყებას 2014 წელსაც მიაწოდა.

– თუ რის საფუძველზე ვთქვი ეს ყველაფერი, ამასთან დაკავშირებით, სრულ ინფორმაციას გამოძიებას მივაწვდი. ეს ფაქტები ძალიან დიდი ხანია ჩემთვის ცნობილია და ნასაუბრებიც მაქვს. მე არ ვიცი, კონკრეტულად რამ გამოიწვია ახალი გამოკითხვა, რადგან ერთხელ გამოკითხვაზე უკვე ვიყავი 2014 წელს, ბატონი გიორგი ბადაშვილის დროს, მაგრამ მაშინ არსებითად არაფერი შეცვლილა.

ბადაშვილის უწყებას ამ ინფორმაციის დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ჰქონდა. შეიძლება ახალი გარემოებებია, რომლის შესახებაც მე არ ვიცი და რომელიც ბოლო ხანებში გამოვლინდა, რაც ჩემს ინტერვიუს დაემთხვა „სიცრუის დეტექტორში“ – განაცხადა კაკაბაძემ.

„ჩათლახბარათის“ ავტორი კომპანიის წინააღმდეგ შსს-მ გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეროტიკული მასაჟის ცენტრთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოკითხვის მიზნით დაბარებული არიან „მასაჟის ცენტრის“ მფლობელები და თანამშრომლები.

გამოძიება ტრეფიკინგის ბრალდებით, სსკ-ის 143 პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს.

აღნიშნული კომპანიის სარეკლამო ბანერები, წარწერით „ჩათლახბარათი“ თბილისის ქუჩებში რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა. გარდა ამისა, კომპანია სოციალურ ქსელში თავისი მომსახურების შესახებ ინფორმაციას ქალების ფოტოების თანხლებით ხშირად აქვეყნებს.

პოლიციამ თბილისში უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS

პოლიციამ თბილისში უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე – 1983 წელს დაბადებული გ.დ., ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1988 წელს დაბადებული თ.რ. დააკავეს.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე გ.დ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა ჩაატარეს, საიდანაც კარაბინის სისტემის შაშხანა, სანადირო თოფი, გადაჭრილი თოფი, 2 მჭიდი და 232 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თ.რ.-ს პირადი ჩხრეკისას კი პოლიციამ მაკაროვის სისტემის პისტოლეტი ამოიღო.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

16 წლის ნიკა ჯორჯაძე ავარიაში დაიღუპა – „14-15 წლის 4 ახალგაზრდა მოწყდა 200 კმ/სთ-ით. ნიკუშა უკან იჯდა და დაიღუპა“

15 აპრილს ღამით თბილისში მომხდარ ავარიას 16 წლის ბიჭი ემსხვერპლა.

დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი, რომელშიც 4 ახალგაზრდა იჯდა, ხეს შეეჯახა. უკან მჯდომი ერთ-ერთი ახალგაზრდა ადგილზე გარდაიცვალა. სამი დაშავებული კლინიკაშია გადაყვანილი, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

გარდაცვლილი ახალგაზრდა 16 წლის ნიკა ჯორჯაძეა. იგი „აგროჰაბის“ მარკეტინგის მენეჯერის, სალომე გველესიანისა და საქართველოს საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ მევლუდ მელაძის შვილია.

სალომეს ნიკა პირველი ქორწინებიდან ჰყავს.

მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით ფეისბუქზე ინფორმაციას ავრცელებს მევლუდ მელაძის მეგობარი გიგი ტუღუში:

„სალომე გველესიანს და მევლუდ მელაძეს ტრაგიკულად დაეღუპათ შვილი ნიკუშა. პანაშვიდი: 16 და 17 აპრილს, ანტონოვსკაიას 35გ (ვაჟაფშაველას 38-ის არკიდან). გამოსვენება 18 აპრილს საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან 14:00-ზე“.

პოსტის კომენტარებში ტუღუში საზარელი ავარიის შესახებაც წერს:

„14-15 წლის 4 ახალგაზრდა მოწყდა 200 კმ/სთ-ით. ნიკუშა უკან იჯდა და დაიღუპა, მეორე უკან მჯდომი მე-3 სტადიის კომაშია და მძღოლს არაფერი ჭირს.“

ჯაბა ჯიშკარიანი: „ვაზაგაშვილის ერთ-ერთი მკვლელი იყო გიგი დალაქიშვილი“

საკრებულოს დეპუტატი პროკურატურაში დაიბარეს

„ქართული ოცნებიდან“ დემარშით წასული ჯაბა ჯიშკარიანი მთავარ საგამოძიებო უწყებაში დაიბარეს. ოფიციალური ვერსიით, პროკურატურა საკრებულოს დეპუტატისგან იმ განცხადების შინაარსის დაკონკრეტებას მოითხოვს, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში ვაზაგაშვილის საქმეზე გააკეთა.

ჯაბა ჯიშკარიანმა დაასახელა ერთ-ერთი სამართალდამცველი გიგი დალაქიშვილი, რომელიც მკვლელობის საქმეში ფიგურირებდა. თუმცა საკრებულოს დეპუტატის განცხადებით, მისით გამოძიება არც წინა და არც მოქმედი ხელისუფლების დროს არ დაინტერესებულა.

მისთვის გაუგებარია, რატომ გაახსენდა ახლა პროკურატურას ვაზაგაშვილის საქმე, მიუხედავად იმისა, რომ 12 წლის განმავლობაში დალაქიშვილზე საუბრობდა.

ჯაბა ჯიშკარიანი არ გამორიცხავს, რომ მისი პროკურატურაში დაბარება „ქართული ოცნების“ დატოვებასთან იყოს დაკავშირებული.

მისი თქმით, გიგი დალაქიშვილი მმართველმა გუნდმა დააწინაურა. ჯიშკარიანის განცხადებით, დალაქიშვილი 2013 წელს მინისტრმა ჭიკაიძემ ქალაქის პოლიციის უფროსად დანიშნა.

– გავაკეთე განცხადება, რომ ვაზაგაშვილის ერთ-ერთი მკვლელი იყო გიგი დალაქიშვილი. ამასთან დაკავშირებით გამაცნეს, რომ გიორგი ცააძეს საპატიმროდან მოუწერია წერილი და მოუთხოვია ჩემი გამოკითხვა.

კითხვები იყო, საიდან მქონდა მე ეს ინფორმაცია და მათ განვუცხადე, რომ მარტო ყურმოკრული ინფორმაცია არ მქონდა ამასთან დაკავშირებით, ვიყავი ძალიან ჩართული ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის გამოძიების მოთხოვნით ყველა აქტიურ კამპანიაში წლების განმავლობაში.

მინდა, მოვუწოდო პროკურატურას და მივცე კეთილი რჩევა, როგორც გენერალურ პროკურატურას, ასევე მმართველ გუნდს, „ქართულ ოცნებას“, ის ათასობით საქმე, რომელიც არის თაროზე შემოგდებული და ითხოვენ მოქალაქეები რეაგირებას, კეთილი ინებონ და ამ საქმეებს და ამ მოქალაქეებს მიხედონ, ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავე ადამიანების ახირებაზე გააკეთონ რეაგირება.

13 წლის განმავლობაში ვსაუბრობ ამ თემებზე არა მარტო ბატონი ივანიშვილის ხელისუფლების ყოფნის პერიოდში, სააკაშვილის დროსაც. რატომღაც 13 წლის განმავლობაში ერთხელ დაინტერესდა საქართველოს პროკურატურა, ისიც ცააძის განცხადებიდან. მგონია, რომ ხელით დაწერილს ჰგავს ეს ყველაფერი, ვიღაცის სცენარს, – განაცხადა ჯაბა ჯიშკარიანმა.

სამგზავრო მატარებელი ხაშურთან მამაკაცს დაეჯახა

ის ადგილზე დაიღუპა

ხაშურთან, ბათუმი-თბილისის მატარებელი მამაკაცს დაეჯახა.

მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა, რის გამოც მატარებელი გაჩერებული იყო.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება 275-ე მუხლის მე-4 ნაწილით დაიწყო, რაც სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-7 წლამდე.

ხობში მერსედესი ჰონდას შეეჯახა

ჰონდას მძღოლი დაიღუპა

გუშინ, 17 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვიჩიოში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

ერთმანეთს „მერსედესისა“ და „ჰონდას“ მარკის ავტომანქანები შეეჯახნენ, შედეგად „ჰონდას“ ავტომანქანის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა.

– შემთხვევის ადგილზე მისულებს ერთი მსუბუქი მანქანის მძღოლი, ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი დაგვხვდა. მეორე მძღოლს კი დახმარება ადგილზე გაეწია. სტაციონარში მისი გადაყვანა არ გახდა საჭირო, – აცხადებენ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ფოთის ცენტრში.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276 მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

მარტვილში 15 წლის ბიჭი ჩამომხრჩვალი იპოვეს

მარტვილში 15 წლის ბიჭი, საკუთარ სახლში ოჯახის წევრებმა ჩამომხრჩვალი იპოვეს.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა სუიციდის მიზეზი.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ოჯახი სოციალურად დაუცველია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115–ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ტრამპს კონკურენტი გამოუჩნდა

დონალდ ტრამპს რესპუბლიკურ პარტიაში კონკურენტი გამოუჩნდა. ეს უილიამ უერდია. მან განაცხადა, რომ რესპუბლიკური პარტიის პრაიმერიში საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებს, რათა შემდგომში პრეზიდენტობაზე კენჭი იყაროს.

უერდი 1945 წელს დაიბადა. დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი. მუშაობდა აშშ-ის იუსტიციის სამინისტროში, აგრეთვე მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორად.

როგორც რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა, მან სენატში კენჭი იყარა, მაგრამ დემოკრატიული პარტიის წევრ ქერისთან დამარცხდა.

პუტინმა რუსეთის კოსმოსური პროგრამა გააკრიტიკა

შედგა რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომა. მასზე პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გამოვიდა. მისი მოხსენების ძირითადი თემა რუსეთის კოსმოსურ პროგრამაში შექმნილი მდგომარეობა იყო. პუტინმა ის სასტიკად გააკრიტიკა და თქვა, რომ ბიუჯეტი უზომოდაა გაბერილი, შედეგი კი არ ჩანს.

– ჩვენი კოსმოსური პროგრამა დასავლურს ჩამორჩა! ეს უნდა აღმოვფხვრათ, – თქვა პუტინმა.

კალეიდოსკოპი

ბრიტანელი კომიკოსი ინსულტზე ხუმრობის შემდეგ გარდაიცვალა

ბრიტანელი კომიკოსი იან კოგნიტო გამოსვლის დროს მას შემდეგ დაიღუპა, როდესაც ინსულტზე იხუმრა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ ქალაქ ბისტერის ბარში მოხდა, სადაც კომედიური ღონისძიება იმართებოდა. გამოსვლის დროს კოგნიტომ იხუმრა, რომ როდესაც ის ინსულტის შემდეგ გონს მოვიდოდა, უელსურ ენაზე შეძლებდა ლაპარაკს. 10 წუთის შემდეგ კომიკოსმა თავი შეუძლოდ იგრძნო და რამდენიმე წუთით სკამზე ჩამოჯდა.

მაყურებლებმა ეს ყოველივე მისი გამოსვლის გაგრძელებად მიიღეს და ვერ მიხვდნენ, რომ კოგნიტოს დახმარება სჭირდებოდა. გარკვეული დროის შემდეგ კომიკოსისთვის მაინც გამოიძახეს სასწრაფო, მაგრამ ადგილზე მისულმა ექიმებმა მხოლოდ მისი გარდაცვალება დაადასტურეს.

მშენებელი თავით რკინის კონსტრუქციაზე დაეცა და გადარჩა

ინდოეთის მადზია-პრადეშის შტატის ქალაქ ბალაგხატში მშენებელი მას შემდეგ გადარჩა ცოცხალი, როდესაც თავში რკინის მავთული შეერჭო.

სანჯაი ბახემ თავი ვერ შეიმაგრა სამშენებლო ხარაჩოზე და ჩავარდა ჭაში. 21 წლის მუშას თავში რკინის მავთული გაეყარა. მავთული მას მარჯვენა საფეთქელთან შეერჭო და მარცხნიდან შუბლში გამოვიდა. დაშავებული ახალგაზრდა დაუყოვნებლივ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

მას წნევა კრიტიკულ ნიშნულამდე დაუვარდა, ოპერაციას საათნახევრის განმავლობაში რამდენიმე ნეიროქირურგი აკეთებდა. შედეგად მავთულის თავიდან ამოძრობა მოხერხდა ისე, რომ ტვინის ძირითადი არტერიები არ დაზიანებულა.

ექიმმა პრამოდ გირიმ განმარტა, რომ ექიმების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ის, რომ არტერიები არ დაზიანებულიყო და ამას სისხლდენა არ გამოეწვია.

გირის თქმით, ერთადერთი გართულება, რომელიც პაციენტს შესაძლოა წარმოექმნას, პოსტრავმული მენინგიტია, თუმცა ექიმები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს.

კაპელანმა ფურნიემ მაცხოვრის გვირგვინი გადაარჩინა

მთელი საფრანგეთი პარიზელი მეხანძრეების კაპელანის, მამა ფურნიეს გმირობაზე ლაპარაკობს. ის ალმოდებულ ნოტრ დამში მეხანძრეებთან ერთად შეიჭრა და წმინდა ნივთები გადაარჩინა.

ტაძარში იესო ქრისტეს ეკლის გვირგვინიც ინახებოდა. ფურნიემ მისი გამოტანა მოახერხა. საბედნიეროდ, საკურთხეველიც არ დაზარალებულა. ყველა წმინდა ნივთი გადარჩა

პარიზელი მეხანძრეების კაპელანმა თავისი სიმამაცე არაერთხელ დაამტკიცა. სანამ მეხანძრეების მღვდელი გახდებოდა, ფურნიემ საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში 7 წელი იმსახურა. ის ავღანეთშიც იმყოფებოდა და არაერთი ჯარისკაცის სიცოცხლე გადაარჩინა.

რუსებს სტალინი ენატრებათ

რუსეთში სტალინის მომხრეთა რაოდენობა იზრდება.

მოსახლეობის 77% სტალინს დადებითად აფასებს, 51% კი სტალინით აღტაცებულია. შეკითხვაზე, სტალინმა და პუტინმა რუსეთის პრეზიდენტობაზე რომ კენჭი იყარონ, ხმას ვის მისცემდითო, ასეთი შედეგი დაფიქსირდა: სტალინს 58%-მა დაუჭირა მხარი, პუტინს – 30%-მა, დანარჩენთ პოზიცია არ გაურკვევიათ ან ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა არ სურთ.

სტალინისადმი დადებითი დამოკიდებულება ბელორუსშიც დაფიქსირდა. იქ სტალინს პროგრესულ მოვლენად 58% აღიქვამს, აღტაცებული კი 47%-ია.

განსხვავებული სურათია უკრაინაში, სადაც მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ ბოროტმოქმედად 70%-მა სტალინი დაასახელა. ჰიტლერი დამნაშავედ 20%-ს მიაჩნია. შემდეგ მოდიან ლენინი, მუსოლინი და ა.შ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კუტმა ჩართულ სარეცხ მანქანაში ნახევარი საათი გაძლო

ექვსი თვის კნუტმა პოპიმ რეცხვის რეჟიმზე ჩართულ სარეცხ მანქანაში ნახევარი საათი გაატარა და გადარჩა.

ავსტრალიელმა ქალბატონმა კიმ ბარმა ვერ შენიშნა, თუ როგორ დაიძინა მისმა კნუტმა სარეცხისთვის განკუთვნილ კალათში და ამგვარად პატარა ცხოველი სარეცხ მანქანაში აღმოჩნდა. გარკვეული დროის შემდეგ ოჯახმა შენიშნა, რომ კნუტი არსად ჩანდა.

– მთელი სახლი გადავჩხრიკეთ, მაგრამ პოპის ვერსად მივაკვლიეთ, – განაცხადა ოჯახის დიასახლისმა.

შემთხვევით კნუტი სარეცხ მანქანაში შენიშნეს, სწორედ იმ დროს, როდესაც მოწყობილობა სარეცხის გაწურვის ათწუთიან რეჟიმზე გადაერთვებოდა. ამის შემდეგ კნუტი სასწრაფოდ ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ ცხოველს თავის და თვალის ტრავმა დაუდგინეს. ამასთან პოპის ნორმაზე დაბალი ჰქონდა სხეულის ტემპერატურა, ხოლო ფილტვებში წყალი ჰქონდა ჩამდგარი.

ამ შემთხვევიდან სამ კვირაში პოპის მდგომარეობა ნორმალური გახდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

თასის მატჩებში მცირე სენსაციები მოხდა

გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების შეხვედრები.

საბურთალო-დინამო (ბთ) 1:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 როლოვიჩი (38)

საბურთალო: მიგინეიშვილი, ჩაბრაძე, მარგველაშვილი, ცნობილაძე, ლაკვეხელიანი, ალთუნაშვილი, დიასამიძე (გვარაძე 90), გორგიაშვილი (შინდაგორიძე 77), ტერა, დვალიშვილი, როლოვიჩი (მალი 88)

დინამო: ალავიძე, ადამაძე, თევდორაძე (ჭანტურია 67), მანჯგალაძე, ფლამარიონი, მამუჩაშვილი, ჯანელიძე (გაფრინდაშვილი 46), მელიავა, გაგოშიძე, ნავალოვსკი, რამოსი

გაძევება: ჭანტურია (90)

საბურთალომ ბათუმის დინამოს უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა. გამარჯვების გოლი ოგნიენ როლოვიჩმა 38-ე წუთზე გაიტანა. პარალელი რომ გავავლოთ ამ გუნდების დაპირისპირებას ჩემპიონატის შეხვედრასა და თასის მატჩში, ვნახავთ, რომ 1 მარტს გამართულ დაპირისპირებაში, როდესაც ეროვნული ლიგის გახსნით შეხვედრაში საბურთალომ ზღვისპირელებს უმასპინძლა, მაშინაც ანალოგიური შედეგით დაამარცხა მეტოქე. იმ შეხვედრაშიც გამარჯვების გოლი ჩერნოგორიელმა გაიტანა.

რაც შეეხება უშუალოდ სათასო მატჩს: პირველ ტაიმში ლუკა ლაკვეხელიანს მიეცა ანგარიშის გახსნის საშუალება, მაგრამ ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა. მალე კი ოგნიენ როლოვიჩი გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა მეკარემ ითამაშა საიმედოდ. როლოვიჩმა მეორე მცდელობიდან გაიტანა – თორნიკე გორგიაშვილმა მარცხენა ფეხით საჯარიმოში ჩააწოდა, თავით ყველას საბურთალოს ლეგიონერმა დაასწრო, თუმცა მისი დარტყმული ხარიხას მოხვდა, მაგრამ ბურთთან თავადვე გაჩნდა – 1:0.

პირველ ტაიმში რამდენიმე ნახევრად მომენტი აჭარლებსაც ჰქონდათ, მაგრამ რეალურ საგოლე ეპიზოდამდე საქმე არ მიდიოდა.

მეორე ნახევარში მოედანზე ვითარება არ შეცვლილა: სახიფათო მომენტებს ძირითადად საბურთალოელები ქმნიდნენ. ორამდე გაზრდის ასპროცენტიანი შესაძლებლობა გაგი მარგველაშვილს ჰქონდა, როდესაც შეტევაში ჩართულმა მკერდზე მიიღო ბურთი, კარშიც დაარტყა, მაგრამ მეკარე მიხეილ ალავიძემ სასწაულებრივ მოიგერია ბურთი. ალავიძემ კიდევ ერთ ეპიზოდშიც გადაარჩინა თავისიანები, როდესაც ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა. ბათუმელებს ყველაზე რეალური საგოლე მომენტი მატჩის მიწურულს შეექმნათ, როდესაც ადამაძის დარტყმული ბურთი საბურთალოს კარის ძელს მოხვდა.

ეგრისი-დინამო (თბ) 1:4

მარტვილი. მუხთარ ხუხცილავა

0:1, 0:2, 0:3, 0:4 ლევან შენგელია (11, 66, 69, 76), 1:4 ირაკლი ქობალია (88)

ეგრისი: ჟვანია, ნადარეიშვილი, არახამია (ჯომიდავა 85), ღონღაძე (კალანდია 30), ქობალია, ლომია, გურეშიძე, სიმონავა, თ.ხ. ჟიშკარიანი, გურეშიძე, წურწუმია (ლაშქარავა 63)

დინამო: სიკაჩი, იაშვილი, მონხილი, კობოური, ნოჩე, ივანისენია (ნინუა 71), ქარდავა, შენგელია (ძოწენიძე 77), კუხიანიძე, შულაია (კარბია 68), როხანო

მატჩი დედაქალაქელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, 4:1 დასრულდა.

პირველ ნახევარში ანგარიში ლევან შენგელიამ ზუსტი დარტყმით გახსნა. დინამოელთა შემტევმა მეორე ტაიმის ათწუთიან მონაკვეთში კიდევ 3 გოლი გაიტანა და პოკერი შეასრულა. შეხვედრის ბოლოსკენ მასპინძლებმა პრესტიჟის გოლი თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანეს. პენალტი შედეგიანად ირაკლი ქობალიამ დაარტყა.

დინამოელებმა მერვედფინალის საგზური მიიღეს.

სამტრედია-დილა 3:2

სამტრედია. ეროსი მანჯგაღაძე

0:1 ფორტესი (20), 1:1, 2:1 სამუშია (45, 47), 2:2 ფორტესი (50), 3:2 კილასონია (79)

გაძევება: ახალაძე (63)

სამტრედიამ 10 კაცით მოახერხა გორის დილას დამარცხება – 3:2. თამაშის მიმდინარეობიდან გამომდინარე ეს მოულოდნელ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა, მეორე მხრივ, დილა ეროვნულ ლიგაში ცუდად თამაშობს და ბოლოსწინა ადგილზეა.

შევარდენი-სიონი 1:2

თბილისი. ზესტაფონის ბაზა

0:1 მაქაცარია (58), 1:1 ივანიაძე (84), თარგამაძე (90)

უმაღლესლიგელმა სიონმა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში იმარჯვა. გადამწყვეტი ბურთი დავით თარგამაძემ გაიტანა. მანამდე კი მაქაცარიამ და ივანიაძემ გაცვალეს გოლები.

იბერია-მერანი 0:2

თბილისი. მატილი

0:1 ბიბილაშვილი (43), 0:2 საღრიშვილი (67)

აქ ფავორიტი მარტვილის მერანი იყო და ეს სტატუსი სრულად გაამართლა. მარტვილელთაგან გოლები ბიბილაშვილმა და საღრიშვილმა გაიტანეს.

ლეგიონი-თბილისი სითი 1:2

გოხი. ახალციხე

0:1 პავლიაშვილი (33სკ), 0:2 გოგატიშვილი (58), 1:2 ქარელი (88)

საინტერესო მატჩი შედგა გორში, სადაც თბილისი სიტიმ იმარჯვა. ამაში მეტოქეც წაეხმარა – პავლიაშვილმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, რასაც შემდეგ გოგატიშვილმა მე-2 მიაყოლა. ლეგიონერთა შემტევის, ქარელის გოლი დაგვიანებული გამოდგა.

გარეჯი-ჭიათურა 2:0

საგარეჯო. ახსენ მეჯოჯიშვილი

1:0 ბექაური (52), ჯოხაძე (58პ)

არსენ მეკოკიშვილის სახელობის სტადიონზე მასპინძლებმა იმარჯვეს. გარეჯმა ბექაურისა და ჯოხაძის გოლებით დაამარცხეს უფრო მაღალ ლიგაში მყოფი გუნდი და თასზე ასპარეზობას აგრძელებენ.

ქუთაისმა და მგზავრებმა სერია მოგებით დაიწყეს

მგზავრები-დელტა 93:80

(18:15, 28:19, 25:29, 22:17)

საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალში ის გუნდები დაუპირისპირდნენ, სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 1 ტურით ადრე შესაბამისად მე-2 და მე-3 ადგილები გარანტირებული რომ აქვთ, თუმცა თასის მოგების რეალური შანსიც გააჩნიათ.

შეხვედრა მგზავრების უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ მათივე გამარჯვებითვე დასრულდა. დელტას ჰქონდა შანსი, მცირე სენსაცია მოეხდინა და მესამე პერიოდში 21 ქულით ჩამორჩენილს თამაში მოეგო, მაგრამ ამის გასაკეთებლად ძალები აღარ ეყო. მგზავრების ხსენებული სოლიდური უპირატესობის შემდეგ ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა დელტამ სწრაფი თამაში წამოიწყო. კონტრშეტევებითა და ზუსტი 3-ქულიანებით იმდენი მოახერხა, რომ ბოლო პერიოდის დაწყებამდე ჩამორჩენა 12 ქულამდე შეამცირა, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მეტოქეს 1 ქულით მიუახლოვდა.

მგზავრების მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო, რის შემდეგაც მის გუნდს შეტევაში გზა გაეხსნა, ზედიზედ ჩააგდო რამდენიმე ბურთი და ლიდერობა კვლავ ორნიშნა რიცხვამდე გაზარდა. დელტაც აქ გატყდა და საბოლოოდ ბუბა ბერიშვილის გუნდმა სასურველი გამარჯვება გაიფორმა – 93:80.

აღსანიშნავია ადრიან ბოუის მორიგი სამმაგი დუბლი. მგზავრების ამერიკელი ლეგიონერი ძალიან შედეგიანად თამაშობს. სუპერლიგისა და თასის გათამაშების გასულ 4 მატჩში მან სამმაგ დუბლს უწია. დელტასთან სათასო შეხვედრაში კი, ბოუომ 18 ქულა, 11 მოხსნა და 10 პასი გაიფორმა. 22 ქულით ბომბარდირი გახდა ჯეიკობ არმსტრონგი, ხოლო კახა ჯინჭარაძის ანგარიშზე 16 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა. დელტაში 18 ქულით საუკეთესო იყო ერიქ ნოთიჯი, ხოლო 13 ქულა გეგი ბაქრაძის ანგარიშზეა.

ქუთაისი-ტიტები 99:95

(30:30, 22:19, 27:25, 20:21)

ქულუხვ და დაძაბულ სათასო დაპირისპირებაში სუპერლიგის ლიდერმა ქუთაისმა ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი ტიტები 99:95 დაამარცხა და სერიაში 1:0 დაწინაურდა.

ცხადია, ქუთაისიცა და ტიტებიც მოსაგებად იყვნენ მომართულნი და იმერეთის მთავარქალაქის სპორტის სასახლეში მისულმა გულშემატკივარმაც საინტერესო სანახაობა იხილა. შეხვედრის პირველი პერიოდი რეკორდული ანგარიშით – 30:30 დასრულდა. მიმდინარე სეზონში 10-წუთეულში ორივე გუნდს რომ 30 ქულა ჩაეგდოს, არ მომხდარა.

შეხვედრა შემდეგაც თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა და მატჩის ბედი ბოლო წუთებზე მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა.

ქუთაისელთა გამარჯვებაში ლომის წილი ჯონათან ლიმ დაიდო, რომელმაც 22 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა. 16 ქულა და ამდენივე მოხსნა მოაგროვა ტერენს ტომპსონმა, ასევე 16 ქულა დაგროვდა დავით ლომიძის ანგარიშზე. ტიტებში 21 ქულით საუკეთესო შედეგი ჰქონდა ლუკ მეიერს, ჟოელ ალმეიდამ 19 ქულა მოაგროვა, ხოლო ილია ლონდარიძის ანგარიშზე 15 ქულა და 10 მოხსნაა.

ორივე ნახევარფინალური წყვილის სერია გრძელდება.

შედეგები

16 აპრილი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბარსელონა-მანჩესტერი 3:0

იუვენტუსი-აიაქსი 1:2

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ბრაიტონი-კარდიფი 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	34	26	7	1	77-20	85
2.სიტი	33	27	2	4	86-22	83
3.ტოტენჰემი	33	22	1	10	64-34	67
4.არსენალი	33	20	6	7	66-40	66
5.ჩელსი	34	20	6	8	57-36	66
6.მანჩესტერი	33	19	7	7	63-44	64
7.ლესტერი	34	14	5	15	46-45	47
8.ვულვზი	33	13	8	12	41-42	47
9.ევერტონი	34	13	7	14	46-44	46
10.უოტფორდი	33	13	7	13	47-48	46
11.ვესტ ჰემი	34	12	6	16	42-52	42
12.ბორნმუთი	34	12	5	17	49-61	41
13.კრ.პალასი	34	11	6	17	40-46	39
14.ბარნლი	34	11	6	17	42-60	39
15.ნიუკასლი	34	10	8	16	32-43	38
16.საუთჰემპტონი	33	9	9	15	39-54	36
17.ბრაიტონი	33	9	6	18	32-53	33
18.კარდიფი	34	9	4	21	30-63	31
19.ფულემი	34	5	5	24	32-76	20
20.ჰადერსფილდი	34	3	5	26	19-67	14

აიაქსსა და მესის ვერ აჩერებენ

იუვენტუსი-აიაქსი 1:2

ტურინი. აღიანეს სტადიონი

1:0 რონალდო (28), 1:1 ვან დე ბეეკი (34), 1:2 დე ლიხტი (67)

იუვენტუსი: შესნი, რუგანი, სანდრო, დე შილიო (კანსელუ 64), ბონუჩი, ჩანი, პიანიჩი, მატიუიდი, ბერნარდესკი (ბატანკური 80), რონალდო, დიბალა (კინი 46)

აიაქსი: ონანა, ბლინდი, დე ლიგტი, ველტმანი, მაზრაუი (სინგკრავენი 11, მაგალიანი 82), ვან დე ბეკი, ზიეში (ჰუნტელაარი 88), ტადიჩი, შენე, ნერესი, დე იონგი

მატჩის წინ აიაქსს ისევ არ აფასებდნენ, ზემოდან უყურებდნენ, ამსტერდამელი გუნდი კი წინ მიიწევს და მიიწევს. უკვე ნახევარფინალშია...

თუ მადრიდის რეალის დამარცხებამ ყველა გააოცა, თითქმის არავინ ფიქრობდა, რომ იუვენტუსსაც გასცდებოდა. აიაქსმა კი ეს გააკეთა. ჰოლანდიური გუნდისთვის მნიშვნელობა არ აქვს, სად და ვისთან თამაშობს. ყველგან ერთნაირ ფეხბურთს აჩვენებს – ეს იქნება შინაური სტადიონი თუ სტუმრად თამაში. ერთნაირად თავხედი და საშიშია.

თუმცა, პირველ ტაიმში სიტუაციას იუვენტუსი აკონტროლებდა. გოლიც ლოგიკური იყო, რომელიც კრიშტიანუ რონალდუმ გაიტანა. აი, მალევე აიაქსის საპასუხო გოლს კი, ბევრი არ ელოდა და ამის შემდეგ მოუმატეს ამსტერდამელებმა. აიაქსი უკეთ თამაშობდა, უფრო მწვავედ და თითქმის ყველაფერში აჯობა მეტოქეს. ბევრი მომენტი შეიქმნა იუვეს კართან, რომელთაგან მხოლოდ ერთი გამოიყენეს და 22 წლის შემდეგ ისევ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში არიან.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **მატიას დე ლიხტი**

ტყუილად არ ნადირობენ ამ ახალგაზრდა მცველზე ევროპული ტოპ-კლუბები. მათ შორის იუვენტუსიც. მატიასმა არა მარტო დაცვის ცენტრში ითამაშა თავდაჯერებულად და საიმედოდ, არამედ, შეტევაშიც კარგად ჩაერთო და გამარჯვების მომტანი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

მასიმილიანო ალეგრი:

– პირველ ტაიმში ურიგოდ არ გვიასპარეზია, თუმცა ბურთის ართმევის შემდეგ უაზროდ ვმოქმედებდით. ფეხბურთი დაუნდობელია და როდესაც შემთხვევით გოლს უშვებ, შიში გეუფლება. აიაქსმა შემდეგ ეტაპზე გასვლა სრულიად დაიმსახურა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მეორე ტაიმს სხვანაირად ჩავატარებდით, მაგრამ მეტოქემ მეორე ტაიმში შესანიშნავად ითამაშა. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ გავიხსენით. ჩვენი ფეხბურთის სათამაშოდ მოთმინება არ გვეყო. არადა, სათადარიგოთა სკამიდან თამაშის გაძლიერების რესურსი გვქონდა. პრეზიდენტს ვუთხარი, რომ გუნდში ვრჩები. მოგვიანებით დავსხდებით და იუვენტუსის მომავალზე ვისაუბრებთ.

ერიკ ტენ ჰაგი:

– ეს მადრიდულ მატჩს საერთოდ არ ჰგავდა. თავიდან იყო ბრძოლა, ბევრი ფიზიკური ორთაბრძოლა. ჩვენ კარგად ვიყავით ორგანიზებულნი, მაგრამ ქარიშხალი უნდა გადაგვეტანა. მხოლოდ რამდენიმე მომენტი გვქონდა და რაღაცამ არ იმუშავა. მეორე ტაიმში იუვენტუსს თამაში არ გამოუვიდა და მოედანზე ცარიელი სივრცეები გამოჩნდა. სწორედ მაშინ გვქონდა 3-4 ნაღდი მომენტი. ცოტა ადრე უნდა გადაგვეწყვიტა მატჩის ბედი. გამარჯვების გოლის გასატანად სტანდარტი დაგვჭირდა.

ბარსელონა-მანჩესტერი 3:0

ბარსელონა. ნოუ ჯამპი

1:0, 2:0 მესი (16, 20), 3:0 კოუტინიო (62)

ბარსელონა: ტერ შტეგენი, ალბა, პიკე, რობერტო (სემედო 71), ლანგლე, რაკიტიჩი, ბუსკეტსი, არტური (ვიდალი 76), კოუტინიო (დემბელე 81), მესი, სუარესი

მანჩესტერი: დე ხეა, სმოლინგი, იანგი, ჯონსი, ლინდელეფი, ლინგარდი (სანჩესი 80), ფრედი, პოგბა, მაკტომინი, მარსიალი (დალოტი 65), რეშფორდი (ლუკაკუ 73)

მანჩესტერ იუნაიტედი აიაქსი ვერ გამოდგა და ორჯერ საკუთარ თავს ვერ გადაახტა. ოლე გუნარ სოლსკიაერის ბიჭებმა ასჯ-სთან ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ პარიზული გუნდი ბარსელონა რომ არ არის, ამ მატჩშიც გამოჩნდა. ბარსამ კამპ ნოუზე მკაცრად დასაჯა მეტოქე. ამასთან, ეს სასჯელი 90-წუთიანი და „მწვალებლური“ გამოდგა.

არადა, პირველივე წუთზე მარკუს რეშფორდის დარტყმის შემდეგ ბურთი ხარიხამ აისხლიტა და მანჩესტერმა 2 მატჩის ჯამში ანგარიში ვერ გაათანაბრა. ეს მომენტი ერთადერთი გამოდგა ინგლისური გუნდისთვის მთელი მატჩის განმავლობაში.

უკვე 20 წუთის თავზე ბარსელონა 2 ბურთით იგებდა და ორივე გოლის ავტორი ლეო მესი იყო. ბარსა დაცვაშიც კარგად იდგა და მეტოქეს ცენტრის გადაკვეთის საშუალებას არ აძლევდა. 61-ე წუთზე ფელიპე კოუტინიომ საბოლოოდ ჩასცა ლახვარი მანჩესტერს და ბარსა ნახევარფინალში მეტოქეს ელოდება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ლეო მესი**

ძალიან პრიმიტიულია, როდესაც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად არგენტინელი სახელდება, მაგრამ სხვა რა გზაა? ლეო იყო უმთავრესი „ჯალათი“ მანჩესტერისა, გაიტანა 2 გოლი და სერიოზული პრობლემები შეუქმნა მეტოქეს.

ერნესტო ვალვერდე:

– მატჩის დასაწყისში თამაში გასაუმჯობესებელი გვაქვს. თუმცა, სწრაფად გამოვსწორდით და რთული სიტუაციიდან გამოვედით. ვიცით, რომ მესი ყოველთვის გამოიჩენს თავს. აქ საუბარი მარტო გოლებზე კი არა, არამედ გუნდზე თამაშზეა. ბარსელონაში ფეხბურთელებს მუდამ მაღალ მოთხოვნებს ვუყენებთ, რადგან ყველგან უნდა გავიმარჯვოთ, თან კარგად ვითამაშოთ.

ჩვენ გვაკრიტიკებენ, მაგრამ ყველანი ადამიანები ვართ, შეცდომებს ვუშვებთ და უნდა გვესმოდეს, როგორ გავძლოთ ამ სამყაროში. ლივერპული თუ პორტუ? ჩემპიონთა ლიგაზე არავის არაფერი არა აქვს გარანტირებული. ლივერპული კარგ ფორმაშია, მაგრამ ვნახოთ, რა მოხდება.

ოლე-გუნარ სოლსკიაერი:

– მესი ტოპ-კლასია და დღეს განსაკუთრებული როლი ითამაშა. 2:0-ზე ყველაფერი დასრულდა. უკანასკნელ ათწლეულში ის და რონალდუ სულ სხვა დონის ფეხბურთელები არიან. ბარსელონასავით თამაშს უნდა ვეცადოთ. ჩვენ ეს შეგვიძლია, მაგრამ ბევრი სამუშაო გვაქვს.

თუ გვინდა, მანჩესტერის რეალურ დონეს დავუბრუნდეთ, ბარსელონას მეტოქეობა უნდა გავუწიოთ. ახლა ბარსა ჩვენზე რამდენიმე დონით მაღლა დგას.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შენგელიამ და ბასკონიამ ფლეი ოფი მარცხით დაიწყეს

ევროლიგის ფლეი ოფი დაიწყო. თორნიკე შენგელიას ბასკონია, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში მე-7 ადგილი დაიკავა, მეორეადგილოსან ცსკას ხვდება. რუსულ კლუბს მოედნის უპირატესობა აქვს და სერიის საწყის 2 მატჩს მასპინძლობს. პირველი შეხვედრა მოსკოვში უკვე გაიმართა და არმიელთა დამაჯერებელი უპირატესობით – 94:68 დასრულდა.

ბასკონიელებმა მხოლოდ პირველი პერიოდი მოიგეს, ისიც 1 ქულით (24:23), რის შედეგადაც უპირატესობას არმიელები დაეუფლნენ და შეხვედრა ისე ჩაამთავრეს, ესპანური კლუბი ახლოს არ მიუშვიათ.

შენგელია სათადარიგო იყო და მოედანზე 19 წუთით გამოჩნდა. ქართველმა ფორვარდმა 6 ქულა, 2 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა.

სერია 3 მოგებამდეა, მომდევნო შეხვედრა ისევ მოსკოვში გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ამერიკელი ლატარიისგან მილიონებს 14 წლის შემდეგ ითხოვს

ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ ბოულდერის მცხოვრები სასამართლოს ძალით ლატარიისგან მოგების მთლიან თანხას ითხოვს, მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ სხვა გამარჯვებულები თაღლითები აღმოჩნდნენ.

ამირ მასიზადემ ლატარიაში 4,8 მილიონი დოლარი 2005 წელს მოიგო. ის ლატარიის ერთადერთი გამარჯვებული არ აღმოჩნდა, მომგებიანი ლატარიის ბილეთები ასევე აღმოაჩნდათ ძმებ ტიპტონებს. ასე რომ, საპრიზო თანხა გაიყო და მასიზადემ გადასახადების გადახდის შემდეგ 568,9 ათასი დოლარი მიიღო.

მოგვიანებით მასიზადემ გაიგო, რომ ძმებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ლატარიის თაღლითობაში დასდეს ბრალი, მათ შორის კოლორადოშიც. ამის შემდეგ მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ ლატარია ვალდებულია მას მისცეს მოგებული თანხის ის წილი, რომელიც ძმებმა ტიპტონებმა მიიღეს. მან თავად კი განაცხადა, რომ ყოველთვის პატიოსნად თამაშობდა, იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი ძმა ლატარიის შტაბში პროგრამისტად მუშაობდა და დაწერა ალგორითმი, რომელიც მომგებიან ნომრებს იცნობდა.

ლატარიის წარმომადგენლებმა ფულის გადახდაზე უარი განაცხადეს, რის მიზეზად ის მოიყვანეს, რომ მასიზადემ თავად მოაწერა ხელი კონტრაქტს, რომელშიც მითითებული იყო, ვის და რამდენი უნდა მიეღო. მამაკაცმა ლატარიას სასამართლოში უჩივლა, თუმცა თებერვალში დენვერის სასამართლომ მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ახლა უკვე მასიზადეს სარჩელს კოლორადოს სააპელაციო სასამართლო განიხილავს.

მამაკაცი ნიანგს მთელი ღამე მაცივარში ემალებოდა

იამაიკის ქალაქ პურ-მენზ-კორნერში ელექტრიკოსი ნიანგის თავდასხმის შედეგად უფეხოდ დარჩა.

სამუშაოს დასრულების შემდეგ 48 წლის ნაიჯელ გეილი დასასვენებლად პლაჟზე გაემართა. როდესაც ის წყალში მუხლებამდე შევიდა, მას თავს ნიანგი დაესხა. მამაკაცი მშველელს უხმობდა, მაგრამ ახლომახლო არავინ აღმოჩნდა. საბოლოოდ ის იძულებული გახდა მთელი ძალღონე მოეკრიბა, ნიანგისთვის ხელები ყბებში ჩაევლო და პირი გაეღებინებინა.

რეპტილიისგან თავდაღწეული გეილი იქვე სანაპიროზე დაგდებულ მაცივარში ჩაჯდა, რომელიც მიწაზე ზურგით ეგდო და კარი ზევით ჰქონდა მოქცეული. ფეხიდან სისხლდენის შესაჩერებლად კი ღვედად ქამარი გამოიყენა.

– თითქოსდა რაღა სული მეუბნებოდა თუ რა უნდა გამეკეთებინა, – იხსენებს გეილი, – ის მეუბნება: „ჩაძვერი მაცივარში“. ჩავძვერი. შემდეგ მეუბნება: „აიღე ქამარი და ფეხზე გადაიჭირე, თორემ სისხლისგან დაიცლები“.

დაშავებულმა ელექტრიკოსმა პლაჟზე მთელი ღამე გაატარა. როდესაც ნიანგი მაცივარს უახლოვდებოდა, ის ხმაურს ტეხდა და რეპტილია უკან იხევდა. დილით გეილი გამვლელმა შენიშნა და საავადმყოფომდე მისვლაში დაეხმარა, სადაც მამაკაცს ფეხის ტერფის ამპუტაცია გაუკეთდა.

ოქროს თევზმა 44 წელი იცოცხლა

დიდ ბრიტანეთში ოქროს თევზი, სახელად ჯორჯი, მოკვდა, რომელიც ამ დროისთვის 44 წლის იყო.

ჯორჯის პატრონმა კიტ ელისმა ის სხვა თევზთან, სახელად ფრედთან ერთად 1974 წელს ბაზრობაზე გათამაშებაში მოიგო და მაშინ თავის მეგობარ გოგონა მერის აჩუქა, რომელიც ამჟამად მისი მეუღლეა. ამ დროის განმავლობაში თევზებმა ორჯერ გამოიცვალეს საცხოვრებელი ადგილი და თავიანთი პატრონების ქალიშვილის დაბადებასაც მოესწრნენ.

ფრედი 2017 წელს 42 წლის ასაკში მოკვდა. მისი სიკვდილის შემდეგ ჯორჯმა თავისი ოქროსფერი შეფერილობის დაკარგვა დაიწყო და დროთა განმავლობაში ვერცხლისფერი გახდა. ჯორჯი საკუთარი სახლის ეზოში ფრედის გვერდით დაკრძალეს.

მერის თქმით, თავდაპირველად არ სჯეროდათ, რომ თევზები ერთ წელზე მეტხანს იცოცხლებდნენ, თუმცა შემდეგ უკვე იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ ისინი მათზე დიდ ხანსაც კი იცოცხლებდნენ. კიტი და მისი მეუღლე ფიქრობენ, რომ თევზების დღეგრძელობის საიდუმლო, მათ ფიზიკურ ვარჯიშებში, დიეტაში, რომელიც თევზებისთვის განკუთვნილი სპეციალური ბურბუშელებისგან შედგება და წყლის რეგულარულ ცვლაში იყო.

გოგონამ საწოლში გაიზმორა და ინსულტი მიიღო

დიდ ბრიტანეთში 23 წლის გოგონამ საწოლში გაიზმორა და ინსულტი დაემართა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

მარტის დასაწყისში ნატალი კუნიცკი საწოლში იწვა და ტელევიზორს უყურებდა, როდესაც გაიზმორა. მან კისრის არეში ხრაშუნის მაგვარი ხმა გაიგონა, თუმცა ამისთვის მნიშვნელობა არ მიუცია. გოგონა, რომელიც მედდად მუშაობს, დასაძინებლად გაემზადა, მაგრამ 15 წუთში ძლიერმა ტკივილმა გამოაღვიძა. ის მარცხენა ფეხს ვერ ამოძრავებდა და დაეცა, როდესაც ტელეფონთან მისვლა სცადა.

მან მაინც მოახერხა სასწრაფოს გამოძახება. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გოგონას კომპიუტერული ტომოგრაფია გაუკეთდა. სურათმა აჩვენა, რომ კუნიცკიმ ინსულტი გადაიტანა. როგორც გაირკვა, გაზმორების დროს ხერხემლის არტერია სერიოზულად დაზიანდა. ამის გამო ტვინში თრომბი წარმოიშვა, რომელმაც ინსულტის პროვოცირება მოახდინა.

კუნიცკის სასწრაფოდ გაუკეთდა სამსაათიანი არტერიის აღდგენის ოპერაცია. ექიმებმა თრომბის მოშორება ვერ შეძლეს და გადაწყვიტეს, რომ ის დროთა განმავლობაში თავისით გაიწოვება.

არაქათგამოცლილ ძაღლს ღია ზღვაში მიაგნეს

ტაილანდის სანაპიროსთან, სიამის ყურეში გადაარჩინეს ძაღლი, რომელიც ნაპირიდან 217 კილომეტრში იმყოფებოდა.

მცურავი საბურღი პლატფორმის მუშებმა ზღვაში ძაღლი შენიშნეს. მათ არაქათგამოცლილი ძაღლი თავისთან მიიხმეს და როდესაც ის მათთან მიცურდა, თოკების დახმარებით წყლიდან ამოიყვანეს.

– ჩვენ ის იმ დროს შევნიშნეთ, როდესაც ჩვენი პლატფორმისკენ მოცურავდა, რომელიც სანაპიროდან 217 კილომეტრში იმყოფება, – განაცხადა სამაშველო ოპერაციის მონაწილემ ხონ ვიტისაკმა, – მას გაუმართლა, რომ ზღვა მშვიდი იყო.

პლატფორმის მუშები ძაღლზე ორი დღის განმავლობაში ზრუნავდნენ, შემდეგ კი ის გვერდით ჩავლილ გემს გადასცეს. მალე ძაღლი ტაილანდის ქალაქ სონგკხლას ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანეს. ვეტერინარებმა დაასკვნეს, რომ ძაღლი სრულიად ჯანმრთელი იყო და მისთვის ახალი პატრონის მოძებნაზე დაიწყეს ზრუნვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

18 აპრილისთვის

ვერძი – დღეს საქმიანი კონტაქტები სიამოვნებას არ მოგანიჭებთ. ცდუნებას არ აჰყვეთ. **კურო** – ემოციები მოთოკეთ. გადაწყვეტილებას ცხელ გულზე ნუ მიიღებთ. **ჭყუპები** – ახალი საქმე შეგიძლიათ დაგეგმოთ, მაგრამ მათი რეალიზაციისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავეთ. **კირჩხიბი** – საქმე ეტაპობრივად აკეთეთ. ნუ გადაიღლებით. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. **ლომი** – რეალობა სათანადოდ შეაფასეთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად არ დათანხმდეთ. **ქალწული** – კრიტიკული დღეა. კონფლიქტში ჩართვა დაუშვებელია. ჯანმრთელობას მიხედეთ. **სასწორი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. არავის ენდოთ. გულის კარნახით იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – ახალ საქმეში ხელმძღვანელობა მხარს გიჭერთ. დაკისრებული მოვალეობა მთელი სერიოზულობით შეასრულეთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმე გულმოდგინედ და პროფესიონალურად აკეთეთ. კოლექტიური მუშაობა ნაყოფიერი იქნება. **თხის რქა** – კრიტიკული დღეა. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად მზად იყავით. **მერწყული** – მეტი დრო დაუთმეთ სულიერებას. უმჯობესია, განმარტოვდეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **თევზები** – მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები შეგეცვლებათ. ქუჩაში მოძრაობისას იფრთხილეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. უხასიათობა, ცუდი გუნება-განწყობილება; 2. ხარისხიანობის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის, პლატინის ნაკეთობებზე; 3. სვანური ციხე-კოშკი; 4. დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი; 7. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 9. რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 12. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 14. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 15. ფუტკრის მსგავსი, მოყვითალო ფერის მწერი; 17. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 20. ქართველი უფოლოგი.

თარაზულად: 5. შაქრის სუროგატი; 6. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 8. ოდესის ძველი სახელწოდება; 10. მავნებლური, ძირგამომთხრელი საქმიანობა; 11. აეროპორტი ლონდონში; 13. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 16. მონასტერი რაჭაში; 18. ბრიტანელი ველომრბოლელი „ტურ-დე-ფრანსი“-ს მრავალგზის გამარჯვებული; 19. თოფზე ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე; 21. სასტუმროს თანამშრომელი; 22. მოძღვრება მელვინეობის შესახებ; 23. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინა-ფიზიოლოგიის დარგში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იედო; 2. არა; 3. ალარმისტი; 4. ჰიჯრა; 5. ბაბაჭუა; 8. სვია; 9. კაბალიე; 10. გენეტიკა; 12. წულაძე; 13. ნეონი; 15. შაორი.

თარაზულად: 1. იდიოტია; 6. გლიპტიკა; 7. დასტა; 10. გერბი; 11. ჭინკა; 13. ნუარე; 14. კოშმა; 16. არგო; 17. იქთიოლი; 18. საცივი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვიბრაცია; 2. ტორტი; 3. მანსარდა; 4. საფარა; 7. კრიჟი; 9. ჯუნტა; 12. აბასთუმანი; 14. გელაპი; 15. იღუმენი; 17. ჰარლემი; 20. სკოტი.

თარაზულად: 5. სიმბიოზი; 6. იზაბელა; 8. კეტჩერი; 10. ლაჟვარდი; 11. სინხუა; 13. ანალები; 16. ტალავერი; 18. თართი; 19. ბუკია; 21. სკოპიე; 22. ანჩელოტი; 23. ჰოფმანი.

ნუკრი ქანთარია: „სერიალები დღეს უკვე აღარ არის საპნის ოპერები“

– ასე მიაჩნია რეჟისორ ნუკრი ქანთარიას, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ინიციატივას, დაფინანსდეს ქართული ფილმები და სერიალები, დადებითად აფასებს:

– აუცილებელია აღვადგინოთ ემოციური კავშირი ჩვენს წარსულთან. თუ ამას ვერ აღვადგენთ, გაგვიჭირდება წინ ყურება და რამის დანახვა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამ საქმეში არის ის, რომ ჩვენი წარსული, ისტორია, კლასიკური ლიტერატურა გარდაიქმნას კინოფილმებად, სერიალებად.

სერიალები დღეს უკვე აღარ არის საპნის ოპერები. დიდ მნიშვნელობას იძენს, როდესაც კლასიკური ლიტერატურიდან თუ წარსულიდან მის საუკეთესო ნიმუშებს ვხედავთ.

ბიბისის მთელი შექსპირის ქრონიკები აქვს უკვე გადაღებული. როდესაც ამას ვამბობდი, ყოველთვის იყო ერთი მოკლე პასუხი, ამის საშუალება არ გვაქვს, ამის ფული არ გაგვაჩნია. ამას წინათ ბიძინა ივანიშვილმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ შეეწიოს ამ საქმეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წიაღში ჩამოსხმულმა პროდიუსერებმა, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებული, თქვეს, რომ ეს არის ძალიან ცუდი რამე, ეს არის საშინელება, თუ ეს კაცი ახლა შეეწევა ამ საქმეს, იმიტომ, რომ ეს ბაზარს არევს, დალაგებულ ბაზარს აგვირევსო. რა ბაზარი აირევა, რის ბაზარი, სად არის ბაზარი, საერთოდ არ არის ამის ბაზარი. ეს შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდეს არა მხოლოდ სულიერების მიმართულებით, თუკი პროცესი ნორმალურად წავა და თუ ამ პროცესს არ ჩაიგდებს ე.წ. მარიფათიანი ხალხი, თუ ამ პროცესს არ მოაჯდება ე.წ. მარიფათიანი ხალხი და პროცესი სწორი მიმართულებით წავა.

თუ ეს ავა სახელმწიფოს დონეზე და შეკვეთები იქნება სამინისტროების მხრიდან, საკანონმდებლო დონეზეც თუ ავა, მაშინ ეს საქმე უთუოდ უმნიშვნელოვანესი იქნება.

5 წლის მართას გადასარჩენი კონცერტის ჩატარებისთვის ფილარმონიამ 14.000 ლარი მოითხოვა

5 წლის მართას დასახმარებელი კონცერტისთვის ფილარმონიამ დარბაზის და განათების მომსახურების 14.000 ლარი მოითხოვა.

მართა 5 წლის გოგონაა, რომელსაც დაუდგინდა მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია, მისი გამოჯანმრთელებისთვის აუცილებელია სასწრაფოდ საზღვარგარეთ გადაყვანა და მკურნალობის დაწყება.

19 აპრილს დაგეგმილი საქველმოქმედო კონცერტი მართას დასახმარებლად 1 თვით გადაიდო ობიექტური მიზეზების გამო, მაისის ბოლომდე.

მიზეზი კი შემდეგია, ფილარმონიამ, მიუხედავად იმისა, რომ გააკეთა შეღავათი, დარბაზის და განათების მომსახურების თანხა დაგვიწესა 14 000 ლარი, რომლის დოკუმენტაციაც შეტანილია თბილისის მერიაში, იმის იმედით, რომ საქველმოქმედო საღამოა, ბავშვს ვეხმარებით, რომელსაც თავის დროზე არც ერთმა საჯარო უწყებამ, „რეგულაციების“ გამო, 1 ლარიც არ გამოუყო მართას და ამ პროექტს მაინც დაგვიფინანსებენ. შესაბამისად, ველოდებით მერიის პასუხს და სწორედ ამან განაპირობა კონცერტის 1 თვით გადადება.

ჩათვალეთ, რომ მხოლოდ ადამიანები ვეხმარებით მართას მკურნალობის დაფინანსებაში და არა სახელმწიფო. დიდი მადლობა თქვენ გულისხმიერებისთვის და დახმარებისთვის. მათ, ვინც უკვე შეიძინეთ ბილეთები, უღრმესი მადლობა, თქვენი ბილეთები შეინახება და მაისის ბოლოს გამოიყენებთ უპრობლემოდ.

შოთა იათაშვილი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინააღმდეგ

პოეტი შოთა იათაშვილი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უპირისპირდება:

– განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – რა გჭირთ მანდ, რა? მუშაობთ თუ გძინავთ? ჯერ ჟურნალების დაფინანსების საკითხის გადაწყვეტას სამი თვე მოანდომეთ, დაფინანსებაც შეამცირეთ და ერთი წელი რვა თვედ აქციეთ.

ნუ, რაც იყო, იყო, ყვავს კაკალი გააგდებინეო, ვიფიქრეთ და 25 მარტს ეს ამბავი რომ გადაწყდა, დავიწყეთ მუშაობა. ხუთი ჟურნალია – სამი ლიტერატურული, ორი საბავშვო. ჩაშვებულია პირველი ნომრები, პირადად ჩემი, „ახალი საუნჯე“ უკვე დაბეჭდილიცაა, იკინძება, ხვალ-ზეგ უნდა გამოვიდეს. თანხა კი ამდენი ხანია ვერ ჩაირიცხა ვერანაირად. აღარ დამთავრდა ეს დღეს-ხვალ და ბიუროკრატიული იწილობიწილოები. არ უნდა არავის არც ხელფასი, არც ჰონორარი? სამთვენახევარი გალოდინოთ უნდა ვინმემ ჯამაგირს და ვნახავდით, რა ხასიათზე დადგებოდით, ქვეყნისთვის როგორ იშრომებდით.

გამოფხიზლდით ახლა დროზე, თორემ ამოგვივიდა თქვენი ტკბილი ძილი ჩვენ ყველას უკვე ყელში!

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში დავანებული დავით აღმაშენებლის ცხოველმყოფელი ჯვარი გადარჩენილია

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში დავანებული დავით აღმაშენებლის ცხოველმყოფელი ჯვარი გადარჩენილია.

ინფორმაცია ამის შესახებ შალვა ბურდილაძემ გაავრცელა:

– დავით აღმაშენებლის ცხოველმყოფელი ჯვარი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. არაერთი განსაცდელი ჰქონია ტაძარს, მაგრამ ცხოველმყოფელი ჯვარი მუდამ იფარავდა. დღესაც გადარჩა უფლის ნებით უფლის გვირგვინი! ასევე გადარჩება საქართველოც! ვიაროთ ღვთის გზით და ღმერთი ჩვენთან იქნება!

თუ როგორ მოხვდა ჯვარი პარიზში, ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს.

წერილს „ანსელის წმინდა საფლავის კანტორისაგან პარიზის ღვთისმშობლის კრებულს იერუსალიმითგან“ 1108 წლით ათარიღებენ. სწორედ ეს წერილი გვაწვდის ინფორმაციას იერუსალიმიდან პარიზში ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილის გაგზავნასთან დაკავშირებით.

წერილში მოხსენიებულია დავით აღმაშენებელი და მისი ქვრივი, ამიტომაც ისტორიკოსების ნაწილი თვლის, რომ წერილი არა 1108 წელს, არამედ უფრო გვიანაა დაწერილი.

ისტორიკოსები აქტიურად დავობენ იმის შესახებაც, თუ როგორ მოხვდა ეს ჯვარი ევროპელთა ხელში.

თუკი ფრანგ ბერს ანსელუსს დავუჯერებთ, ჯვარი შეიძინეს დავით მეფის ქვრივისგან, ყივჩაღთა მეფის ასულ გურანდუხტისგან, რომელიც იერუსალიმში მონაზვნად აღიკვეცა.

მეორე ვერსიით კი, ეს ჯვარი თან ჰქონდა დედოფალ რუსუდანს, დავითის პირველ მეუღლეს და დემეტრეს დედას. სწორედ მან მიჰყიდა ეს უძვირფასესი ჯვარი ფრანგ ჯვაროსნებს. დედოფალმა რუსუდანმა იერუსალიმში მდებარე ქართულ მონასტრებში მყოფი ქართველი ბერ-მონაზვნების დასახმარებლად, ჯვაროსნებს ჯვრის ყიდვა შესთავაზა. ჯვარი ფრანგებმა პარიზში წაიღეს და ბაზილიკაში დაუდეს ბინა, სადაც შემდგომში პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი აშენდა.

იმედა არაბული და იუნა შაფათავა ფილმში გადაიღეს

ამერიკაში წასული ქართველი მსახიობები იმედა არაბული და იუნა შაფათავა ფილმში გადაიღეს.

ინფორმაცია ამის შესახებ იუნამ გაავრცელა:

– „თამარა“ – ახალი ქართულ-ამერიკული ინდიე ფილმი, რომელშიც მე და იმედა უკვე გაშორებულ ცოლ-ქმარს ვთამაშობთ. დრამა, თბილისი – ნიუ-იორკი დანგრეული სიყვარულის, ძალადობის, ბედნიერების ძიების ისტორია. ქართულ ამერიკული იმიტომ, რომ ქართველები ვთამაშობთ. იმედამ ისე ითამაშა, გულის შეტევა დამმართა, ისე განვიცადე. ძალიან ძლიერი მსახიობია და არანორმალურად მიხარია, რომ ისევ ერთად ვართ ერთ ფილმში.

ფილმის რეჟისორია ალა რიდი, მასში ასევე მონაწილეობას იღებენ ქართველი მსახიობები მაშო მელქაძე, გიორგი ფოცხვერია და სხვები. გადაღებები მიმდინარეობს ნიუ-იორკში. ალას გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელშიც ნოემბერში ვითამაშე, ნიუ-ჯერსის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაშია.

ბესო ზანგური მამა მეხუთედ გახდება

რუსთაველის თეატრის მსახიობი ბესო ზანგური მამა მეხუთედ გახდება. მისი მეუღლე გვანცა წულეისკირი გოგონას ელოდება.

ინფორმაცია ამის შესახებ მსახიობმა თავად გაავრცელა:

– მოკლედ 290 გრ. გოგოს მამა ვარ, ანუ 3 ბიჭი 2 გოგო!

მშობლებმა შვილს პორნოგრაფიის კოლექცია უპოვეს

ამერიკის ინდიანას შტატის მცხოვრები მშობლებს ძვირადღირებული პორნოფილმების კოლექციის განადგურებაში სდებს ბრალს.

სასამართლოს მონაცემებით, ინციდენტი 2016 წლის ოქტომბერში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაზარალებულმა განქორწინების შემდეგ ათი თვე მშობლების სახლში გაატარა, რომელიც მიჩიგანის შტატის ქალაქ გრანდ-ჰეივენში მდებარეობს. 2017 წლის აგვისტოში ის „ოჯახური სიტუაციის“ გამო იძულებული გახდა, მეზობელ შტატში გადასულიყო.

სამი თვის შემდეგ მშობლებმა მას მისი პირადი ნივთები გაუგზავნეს. მამაკაცის თქმით, მათ შორის არ იყო პორნოფილმების მისი უზარმაზარი კოლექცია. მოგვიანებით მისმა მშობლებმა აღიარეს, რომ მთელი მისი კოლექცია გაანადგურეს.

– ჩვენ თორმეტი მუყაოს ყუთი დავითვალეთ, რომლებიც სავსე იყო პორნოფილმებით და პორნორგოლებით, ასევე ორი ყუთი სავსე იყო სექს-სათამაშაოებით, – დაწერეს მამაკაცის მშობლებმა ელექტრო წერილში, – ჩვენ მაშინვე შევუდექით მათ განადგურებას და ამას საკმაოდ დიდი ხანი მოვანდომეთ.

მამაკაცმა განცხადება დაწერა და პოლიციას მიმართა, რომელშიც საკუთარი ზარალი 28,9 ათას დოლარად შეაფასა. თუმცა პროკურატურამ უარი განაცხადა მისი მშობლებისთვის ბრალის წაყენებაზე. ამჟამად მამაკაცი საქმის განმეორებით განხილვის მიღწევას ცდილობს, საქმეში გამომძიებლების ჩართვით. ის ოჯახისგან კომპენსაციის სახით 86,8 ათას დოლარს მოითხოვს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ოშკი, ხახული, ბანა, ხანძთა, იშხანი – ახსოვს ვინმეს?

საფრანგეთში, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენითი სამუშაოებისთვის თანხის გადარიცხვა საქართველოდანაც გადაწყვიტეს, რამაც საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია.

საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ როდესაც ვარძიაში თამარის ფრესკა დაიწვა, სამებაში სტამბა დაიწვა, მარტვილში მამათა მონასტერი დაიწვა, არავის მოსვლია თავში აზრად, ჯიბეზე გაეკრა ხელი.

ბექა ნათელაშვილი კი ქართველ ბიზნესმენებს შეახსენებს, რომ ტაო-კლარჯეთში უძველესი ქართული ეკლესიები ნადგურდება და უმჯობესია მათ მიხედონ:

– რა მნიშვნელობა აქვს, ცეცხლი შთანთქავს თუ უპატრონობის ან უყურადღებობის გამო დაინგრევა. ოშკი, ხახული, ბანა, ხანძთა, იშხანი. ხუთივე ბევრად უფრო ადრე არის აშენებული, ვიდრე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი და ხუთივე განადგურების პირასაა. ახსოვს ვინმეს?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

დალი და ლალი დავითურები მწუხარებით იუწყებიან ღირსეული პიროვნების, ქართული ოჯახის თავკაცის, მეგობრებისა და ახლობლების ჭირისა და ლხინის გამზიარებლის, საზოგადო მოღვაწის, ფილოლოგიური მეცნიერების დოქტორის, პროფესორ

მიხეილ (მიშა) ქავთარიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. ☎ **599-73-48-21; 598-73-48-21.**

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.6906

ევრო — 3.0404

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5201

100 რუსული რუბლი — 4.1792

ამინდის პროგნოზი 18 აპრილისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

9 აპრილიდან

ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი

მაუგლის ამბები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

16 აპრილიდან

მარკ ტვენი

პრინცი და მაწანწალა



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

12 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

გოგო ბიჭს ეუბნება:
– იცი, ფეხმძიმედ ვარ, შენგან...
– როგორ? ჩვენ ხომ ერთად არც კი ვწოლილვართ?
– მეც შოკში ვარ!..

•••

დილით საუზმის დროს შვილი დედას ეკითხება:
– დედა, აბა გამოიცანი: რაზე ფიქრობს ქალი ყოველთვის? სიტყვა ხუთი ასოსგან შედგება!
დედამ ბავშვს კისერში წაუთაქა.
ატირებული ბავშვი ეუბნება:
– ეს ხომ „სახლია“!

ამ დროს ქმარმა ცოლს კისერში წაუთაქა და ეუბნება:
– სახლზე, უტვინო, სახლზე უნდა იფიქრო, სახლზე!

•••

ექიმი პაციენტს ეკითხება:
– როგორ იძინებთ?
– კარგად, სამამდე ვითვლი და ვიძინებ.
– როგორ, მხოლოდ სამამდე?
– არა, ზოგჯერ ოთხის ნახევრამდეც...

•••

მამაკაცი შეშინებული სახით ეკითხება ქალს:
– ვინ ხართ?
– მე შენი ოცნების ქალი ვარ!
– ჰოო? კი მაგრამ, მე ასეთზე არ მიოცნებია!
– რა იზამ, ასეთი აგისრულდი!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება?
– დასალევი რა გაქვს?
– წყალი.
– და რაიმე მაგარი არ გაქვს?
– კი, ყინული.

•••

ქალი კაცს ეუბნება:
– ისეთს, როგორიც მე ვარ, ვერ იპოვი.
– ისეთს, როგორიც შენ ხარ, აღარც მოვძებნი.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:
– მიდი, პური დაჭერი.
– არ შემიძლია, ხელები მიკანკალებს, გუშინდელის შემდეგ.
– მაშინ ძეხვი მაინც დაჭერი.
– არც ეგ შემიძლია.
– აბა რა შეგიძლია?
– მარილის მოყრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კრიშტიანო რონალდუ: „მეტოქეს წარმატებას ვუსურვებ“

ტურინის იუვენტუსის პორტუგალიელმა ფორვარდმა კრიშტიანო რონალდუმ აიაქსთან მარცხის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ეს მარცხი იუვენტუსის ბრალია, თუმცა ერთ ეპიზოდში მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა.

რონალდუმ აიქსს მომავალში წარმატება უსურვა:

– ვფიქრობ, მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა, რადგან აიაქსის ფეხბურთელს ბურთი ხელში მოხვდა, მაგრამ ეს არ გვამართლებს და ვალდებულები ვიყავით, უკეთ გვეთამაშა. სამწუხაროა, რომ ეს ვერ მოვახერხეთ. აიაქსს წარმატებას ვუსურვებ.

იუვენტუსის ლეგენდამ ალესანდრო დელ პიერომ კი თქვა, რომ იუვეს არ ეკადრება ასეთი თამაში.

დელ პიეროს აზრით, აიაქსმა სრულიად დამსახურებულად მოიგო:

– იუვენტუსი თავის თავს არ გავდა და მისი ფეხბურთელები აშკარად დაბნეულები იყვნენ, რითიც აიაქსმა კარგად ისარგებლა. ჰოლანდიელები შესანიშნავად იყენებდნენ სივრცეებს და მათ ეს გამარჯვება სრულიად დაიმსახურეს.

იუვენტუსმა საკუთარ მოედანზე 1:2 წააგო და ჩემპიონთა ლიგას მეოთხედფინალში გამოეთიშა.

ტიერი ანრი, შესაძლოა, ნიუ იორკ რედ ბულზის მწვრთნელი გახდეს



ტიერი ანრი მონაკოდან წასვლის შემდეგ ახალ გუნდს ეძებს და გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის შესაძლოა ნიუ იორკ რედ ბულზის მთავარი მწვრთნელი გახდეს. ამ გუნდში ანრი კარიერის ბოლოს თამაშობდა და მათი ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო.

ანრის სამწვრთნელო კარიერა ჯერჯერობით წარმატებული არ არის და მონაკოში მან მხოლოდ რამდენიმე თვე გაძლო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„მსოფლიოში ყველაზე სახიფათო ფრინველმა“ ფერმერი მოკლა

ამერიკის ფლორიდის შტატში დიდი მორბენალი ფრინველი, რომელსაც ფრენა არ შეუძლია, კაზუარი თავს დაესხა თავის პატრონ ფერმერს და მოკლა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. როგორც ჟურნალისტებს ალაჩუას ოლქის სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა განუცხადეს, ფრინველის მსხვერპლი 75 წლის ფერმის მფლობელი გახდა. მათი თქმით, კაზუარი ფერმერს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის ვოლიერში მისთვის საკვების მისაცემად შევიდა. სავარაუდოდ, ფერმერმა წაიბორძიკა და დაეცა, რის შემდეგაც კაზუარმა მას სასიკვდილო დარტყმა ბრჭყალებით მიაყენა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფერმერის მკვლელი კაზუარი ამ დროისთვის ფერმის ტერიტორიაზე რჩება.

ჯვართან სურათის გადაღების მსურველებს მეხი დაეცათ

ესპანეთში მეხი დაეცა მთის მწვერვალზე მყოფ ოჯახურ წყვილს, რომელიც იქ სურათის გადაღებას ცდილობდა.

მაგდა და მარსელ გალარდოები კატალონიის მთებში მონტსენის მწვერვალის დასაპყრობად გაეშურა. როდესაც ისინი მწვერვალზე ასვლას შეუდგნენ, მზე ანათებდა. გარკვეული დროის შემდეგ კი მოიღრუბლა და სეტყვა წამოვიდა. თუმცა იმ მომენტისთვის წყვილი მწვერვალთან ძალიან ახლოს იმყოფებოდა და ამიტომ წინსვლა განაგრძეს.

მწვერვალზე გალარდოებმა ამ მომენტის ფოტოსურათზე აღბეჭდვა გადაწყვიტეს. და ამის გაკეთება იქ აღმართული ჯვრის ფონზე ცადეს. ამ დროს მეხი ჩამოვარდა და წყვილი ძირს დაეცა. მათ აღიარეს, რომ ვერ მიხვდნენ თუ რა დაემართათ, სანამ ეს ყოველივე ვიდეოზე არ ნახეს.

წყვილი არ დაშავებულა, მაგრამ აღიარეს, რომ დამწვრის სუნი მეხის ჩამოვარდნის შემდეგ იგრძნეს. მათმა ერთ-ერთმა ნათესავმა კი იხუმრა, რომ სანამ იღბალი მათ მხარეზეა, აჯობებს ლატარიის ბილეთი იყიდონ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. რაიმე მოვლენის ცალკეული სტადია, მომენტი; 2. მდინარე ციმბირში; 3. იტალიური საკონდიტრო; 4. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 5. პოლონური ხალხური ცეკვა; 8. თავადის ტიტული ინდოეთში; 9. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 10. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 12. არაბი გლეხი; 13. თეთრი თიხა ჭურჭლის დასამზადებლად; 15. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

თარაზულად: 1. ბეთჰოვენის ოპერა; 6. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 7. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 10. ჯიშის გასაუმჯობესებლად შერჩეული მცენარის ან ცხოველის საუკეთესო ეგზემპლარი; 11. მეფის მაყარი ქორწილში; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 16. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონა“-ს ფეხბურთელი; 17. კათოლიკურ დედათა მონასტრის წინამძღვარი; 18. სულხან ცინცაძის მუსიკაზე შექმნილი ქართული ბალეტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა